1924 წ. 15 იანვარი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კაპ. ჩერვონც.

# ჩირაღდანი

№ 3 გაზ. „კომუნისტი“-ს ლიტერატურო სამხატვრო ორკვირეული დამატება № 3

## დიდი სიყალბის წინააღმდეგ

ამხ. ვოროვსკის მკვლელის, კონრადის პროცესზე ამხ. ჰანრი ბარბიუსი საფრანგეთის ცნობილი მწერალი და კომპარტიის წევრი მიწვეული იყო ლოზანაში მოწმეთ, ჩვენების ჩასაბარებლად. ვინაიდან ის ვერ წავიდა შვეიცარიაში, ამიტომ მან მიმართა ერთ ვექილს შემდეგი წერილით:

„ჩემო ძვირფასო ვექილო! პირველყოვლისა გთხოვთ კეთილ ინებოთ და გადასცეთ ჩემი თავ-მდაბალი ბოდიში ტრიბუნალსა და მის თავმჯდომარეს. აგრეთვე ბოდიში გთხოვთ მიიღოთ თქვენ თვითონ და ყველა იმ ვექილებმა, რომელთაც თავს გიდვიათ მისსია— დაიცათ ხსოვნა კეთილშობილი მსხვერპლისა და დაჰკმოთ ყველა მონაწილენი მისი სიკვდილისა.

მართლადაც შეუძლებელია ჩემთვის პირადათ მოვიდე ლოზანაში. თქვენ მე პატივი მეცით და კეთილ ინებეთ მოგესმინათ ჩემი ჩვენება. ავადმყოფობის მიზეზით მე მხოლოდ წერილობით მოგმართავთ თქვენ.

ამ ჩვენებას წარმოვუდგენ მოსამართლეთ დიდის მწუხარებითა და მღელვარებით, მაგრამ არა ღვარძლიანის გრძნობით. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი გულწრფელობა და თქვენი ნიჭი ღირსეულად გააცნობს ამ ჩვენებას იმ ადამიანებს, რომელნიც სხედან მართლ-მსაჯულების დარბაზში, სადაც ალვიმაღლებთ ჩვენ ხმას და სადაც მათ უნდა უწყოდენ, თუ როგორ უნდა დაიცან დიადი საქმე, დიაღ, დიადი და საკაცობრიო.

მე არავითარ პირად მტრობას არ განვიცდი მკვლელის წინააღმდეგ. მე მინდა მხოლოდ მას მივუძღვნა ჩემი წყევა და ზიზღი მე იმას ვუცქერი, როგორც უბადრუკ იარაღს იმ შეცდომისას და სიყალბისას, რომელიც ბატონობს ამ ჟამად მთელ დედამიწის ზურგზე.

და ჩემის აზრით ლოზანის მსაჯულებმა უნდა გაასამართლონ არა მარტო კონრადი, არამედ ის შეცდომა და სიყალბე, რომელნიც ღირსნი არიან იმ იარაღისა, რაც იმათვე იხმარეს. ეს არის უმაღლესი მოვალეობა მსაჯულებისა მთელი ქვეყნის წინაშე.

უეჭველია კამათის დროს აღნიშნულ იქნება ერთი რამ: ძალიან დიდი მსგავსება ვოროვსკისა და ჟორესის ლაჩარ და საზიზღარ მკვლელებს შორის. ცხადია ორთავე შემთხვევაში დანაშაული არ შეადგენს საკუთრებას მხოლოდ იმ ხელებისას, რომელთაც ჩაიდინეს ასეთი საზიზღრობა, არ ეკუთვნის მხოლოდ იმ გზა-აბნეულისა და მახინჯის ტვინს, რომელსაც ერთბაშად მოუვიდა აზრი—გახდეს ჯალათად იმ ადამიანისა, რომლის პიროვნებასაც, თითქმის, სულ არ იცნობდა იგი. ეს დანაშაული გადასცდება ამ ხელისა და ამ ტვინის სამზღვარს. იგი უნდა მოვსძებნოთ. იმ საზიზღარ იდეაში, რომელმაც მოსწამლა მრავალი და ხელსა ჰკრავს ზოგიერთს სასიკვდილო დანაშაულზეც.

ვოროვსკი არ იყო მსხვერპლი პირადი შურისძიებისა, თუნდაც რომ არ მოხერხებულიყო იმისი მოკვლა, იგი მაინც მსხვერპლი იყო იმ უმაგალითო და გათახსირებულ კამპანიისა, რომლის ბადალიც არ მოიპოვება ისტორიაში. სწორედ ამან მისცა ნება სულ ჩვეულებრივ ადამიანს, უბრალო მოწმეს ცხოვრებისას; გამოიტანოს საკუთარი დასკვნანი და გამოსულიყო ისტორიის წინაშე უმართებულო მსაჯულად.



ჰ ა ნ რ ი ბ ა რ ბ ი უ ს ი

იმ პატივცემულ და განსწავლულ პირთაგან, რომელნიც კი ისეთი მაღალი ავტორიტეტით შესულან ტრიბუნალში და რომელთაც მე მივმართავ ჩემის თავმდაბლობითა და რწმენით, არც ერთი არ მომცემს ნებას საკითხი დავსვა ისე ფართედ, რომ შევეხო იმ დიად ზნეობრივ იდეებს, რომელნიც სწყვეტენ ამ ხანაში ბედ-იღბალს მთელის ხალხისას.

მე მით ვსთხოვ, დამიჯერონ—რომ მე არა ვარ არც დემაგოგი ვინმე, არც უტოპისტი, არც ბოროტი მაქეზებელი, რომელიც დაძრწის წალმა და უკულმა მხოლოდ იმიტომ, რომ ნაძალადევათ მიაქცევინოს ყურადღება წითელ დროშაზე.

მე მხოლოდ მოწმე ვარ ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით, მე ვხელმძღვანელთ ნამდვილი მეცნიერული მოსაზრებით, რომელიც ესე შეფარდებულია თანამედროვე ეკონომიურ საჭიროებასთან. ჩვენ ვაწარმოებთ უსასტიკეს კრიტიკას იმ ძველი სოციალური წყობილების წინააღმდეგ, რომლიდანაც იშობება ძალაუნებურად უთვალავი სიღატაკე და უბედურობა. ჩვენ მოვითხოვთ ძირ-ფესვიან ცვლილებას საკაცობრიო საქმეთა მოწესრიგებაში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალი სოციალური წყობილება დამყარებული იქნება თვით ფართე მასსის ნება-ყოფლობაზე. დამყარებულ იქნება იმ მკვიდრ საძირკველზე, საიდანაც წარმოიშობება ყოველგვარი ნაყოფიერება. საზოგადოების ბუნებრივ კანონით უნდა იყოს აღიარებული მთელი შრომის მოწესრიგება თვით მშრომელთა მიერ. ამასთანავე ჭეშმარიტმა ინტერნაციონალიზმმა უნდა შესცვალოს ის ბარბაროსული, იარაღ-ასხმული ეროვნული შუღლი, რომელიც ბოლოსა და ბოლოს მაინც გადაიქცევა ხოლმე სამხედრო შეჯახებათ და სისხლის ღვრათ.

ესე მკაფიოთ, მაგრამ მოკლედ გამოხატული დებულება, ცხადია, შეაშფოთებს ძველის-ძველ ჩვეულებას უწყინარად აზროვნებისას. მაგრამ ეს ახალი ამბავი არ-არის.

უკვდავი რესპუბლიკანური იდეა დამკვიდრებულია პიროვნულ დამოუკიდებლობისა და ღირსებაზე მოქალაქისა და არა დიდებით მოსილ თითო-ოროლა ადამიანზე.

ეს არის იდეა—საკაცობრიო თანასწორობისა.

მე არ მინდა გადაუხვიო იმ ისტორიულ არევ-დარევას, რომლის მოწმეც ჩვენა ვართ ეხლა. ის ქვეყანა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, იგი იყო მთესველი ამ დიად იდეებისა, რომელთაც ერთ დროს აღამხედრეს თვით

კეთილშობილი შვეიცარიის კანტონები იმპერიალისტურ თვითნებობის წინააღმდეგ.

ამასთანავე ყოველი დიადი აზრები ერთმანეთს ენათესავებიან და ერთად შეიყრებიან კიდეც. და სწორედ ეს აზრი უნდა ყოფილიყო საფუძვლად იმ განახლებულ ქრისტიანობისა, რომელიც სცადეთ თქვენ პროტესტანტულ „რომში“—ჟენევაში.

მაგრამ განვლეს საუკუნოებმა. წარმოების საზღაპრო წინსვლამ თანამედროვე ქვეყნიერობას დაადო საშინელი ეკონომიური უღელი. ახალმა ბატონობამ, ახალმა დესპოტობამ შეცვალა ძველი ტირანია. წარმოუდგენელი საშინელება და უბედურობანი დაატყდენ თავს საბრალო ხალხს. რომ გაიმარჯვოს თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეამ, საჭირო არის გამოვიჩინოთ უსასტიკესი სიცხოველე, რომელიც შეფარდებულ იქნება თანამედროვე აქტივობის საშინელ მექანიზმთან.

ჩვენა გვაქვს ერთი დიდებითი სიამაყე-ბოლომდის მივყვეთ და გიგ ფსკერში ჩავხედოთ ყოველივე აზრს და ყოველ შემთხვევაში არ ავყვეთ რაიმე ცდუნებას. არ შევჩერდეთ შუა გზაზე. ხელი არ მოვკიდოთ რაღაცა პალიტივებს და შინაურულ მორიგებას. არ დავსთანხმდით ცხოვრების წვეთ-წვეთობით განვითარებას, რადგან ყველაფერი ეს უნაყოფოა თანამედროვე ხანაში, როცა არსებულ წეს-წყობილების დამცველებს ხელში მოეპოვებათ ათასგვარი საშუალებანი თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად.

„დემოკრატიულ“ კომედიისა, სხვა და სხვა დაპირებებისა, საერთაშორისო დიპლომატიის გამოთაყვანებულ მოქმედებისა და სამასხარაო „ერთა ლიგის“ იქით. მეორე მხარეს, ჩვენ გვინდა დავინახოთ არა ჩვენის გატაცებით, არამედ ჩვენის სიბრძნით ერთი იდეალი. ერთი სერიოზული და ურყევი სოციალური იდეალი, რომელიც განხორციელებულ იქნება ასეთნაირად. როცა ერთი ადამიანი აღარ იქნება მეორე ადამიანის მოსამსახურე—ცხოველად.

ჩვენ დავაარსეთ ინტერნაციონალურ ორგანიზაცია უმაღლესად ზნეობრივი და უმაღლესად ლოღიკური, რომელიც ემყარება მთელი კაცობრიობის განთავისუფლების პრინციპს.

და რუსეთის რესპუბლიკამ ქვეყნიერების ერთ კუთხეში თითქმის, რომ ხორცი შეასხა ამ იდიალს თუმცა ულმობელ შემთხვევათა ძალდატანებით ჯერ კიდევ ღირსეულად ვერ დაგვინახოს სრულქმნილი სურათი ამ იდეალისა.

ცილის წამებისა და შეურაცყოფის საშინელი ომი დაიწყო იმ ხალხის წინააღმდეგ. ვინც ამტკიცებს, რომ ადამიანთა განსხვავება ეროვნულ სამზღვრებითა და რჯულით კი არ გამოიხატება არამედ მკვლევილია გამარჯვებით-გაყვლეფილ ნაწილზე მთელას ხალხისა. ეს გაყვლეფა სისხლიდანა სცლის და უბედურებაში აგდებს უდიდეს ნაწილს კაცობრიობისას. განსხვავება ცხოვრების სიღრმეშია და არა მის ზედა პირზე.

ნაფიცნო მსაჯულნო! ის დანიშნული, რომლის განაჩენსაც მოელის საზოგადოება თქვენგან, არის შედეგი ამ მთავარ იდეათა ულმობელის შეჯახებისა ეს შეჯახება საძირკველშივე არყევს მყვლეფელობაზე დამყარებულ დრო მოჭმულ საზოგადოებას. ეს საზოგადოება თვითონვე ირღვევა იმ სიმძიმის გამოისობით, რომელსაც თავზედ აწოლებს მის ხელმძღვანელთა კერძო ინტერესებით გამოწვეული შეჯახება. ამ საზოგადოებას აღარ შეუძლიან განაგრძოს თავისი დღენი და ყოველი გამწვავებული საკითხი გადასწყვიტოს ძალადობათა და კატასტროფის გამომწვევ საშუალებით.

მაგრამ ეს საქმე ნიღაბსა ხდის აგრეთვე იმ „მორალებ“-ს საშუალებათ და მომშხამელ ზღაპრებს, რომელთაც ხმარობენ ამ ნოვატორთა წინაღმდეგ.

საშინელი ვიწრო შეხედულობისა და ფრიად სუსტი აზრის პატრონმა კაცმა მოჰკლა მოციქული ადამიანი—როგორც ვინმე ბოროტმოქმედი. ეს ჩაიდინა იმიტომ, რომ იგი დამთვრალი იყო სინამდვილის საზიზღარი დამახინჯებით.

რომ საბჭოთა რუსეთს თავი დაეცა—ეს იქნებოდა თვით-მკვლელობა. ამის უფლება კი არა ჰქონდა, რადგან ამას მოითხოვდა მოვალეობა მთელი კაცობრიობის წინაშე. იმას არ ჩაუდენია არავითარი დანაშაული, არც გადაუდგამს ყალბი ნაბიჯი. მან გმირულად გადაიტანა ყოველივე შედეგი მოსყიდულ ბანდიტიზმისა, რომელიც განახორციელა უცხოელმა იმპერიალისტურმა რეაქციონერმა, რომლის იარაღიც გაცამტვერდა რუსეთის მტკიცე ნების ყოფაზე, მაგრამ რუსეთმა მაინც განიცადა ერთგვარი წამება თავის რწმენაში.

რომ არ ჩავარდე სასაცილო მდგომარეობაში, წინდაწინ ვერ ვიტყვი ისეთ რამეს, რაც შეიძლება შემდეგში ეწინააღმდეგებოდეს მოსამართლეთა საღ აზროვნებას და სამართლიან სამოჯავროს. მხოლოდ არ დავივიწყებ. რომ მესამე ინტერნაციონალის წევრებმა, რომელთაც სულიერი ზღაპარი ანარქისტებად ნათლავს, აშკარად განიცადეს საფრთხე თავიანთ პირადი არსებობისა.

ბატონო მოსამართლენო! თქვენგან ველი სასჯელს და არა რეპრესიებს, ან შურის ძიებას, რადგან არავინ არ ფიქრობს—შური იძიოს. მაგრამ სიცოცხლის პატივისცემა უნდა განაგებდეს კრებულს ადამიანთა და თქვენთვისაც ყველაზე მაღლა უნდა იდგეს ეს პრინციპი. შეუძლებელია, რომ ვინმე სოლელურად, რევოლვერის წყალობით ბატონად მოევლინოს მეორე ადამიანის სიცოცხლეს და მაშ არაფერი არ აძლევდა ნებას, რომ პატივებულ იყოს ესეთი შეუწყნარებელი ქცევა ვისმესი.

მე შორს აღარ წავალ. მე შემეკითხენ—რასა ვფიქრობ ჩემის აზრითა და ჩემის რწმენით ამ დრამაზე და მეც გიპასუხებთ. ჩემი მოვალეობაა აღვნიშნო, რომ ეს დრამა არ არის რამდენიმე კერძო პირთა ინტერესი. ეს არის ეპიზოდი იმ უშველებელი დრამისა, რომელიც ერთმანეთს აკვეთებს მრავალ მილიონ სიცოცხლეს და უფრო მეტიც: დაღუპვისაგან თავდაუღწეველ აწმყოს და—უძლეველ მომავალს.

ამასთანავე უნდა ვაღიარო კიდევ:

ამ ბრძოლის ორი მიზნიდან. კაცობრიობის ორი ნახევრიდან—კონსერვატორებისა და რევოლიუციონურებიდან—ეს მხოლოდ რევოლიუციონერები არიან, ვინც ატარებს თავის არსებაში მარადიულ ჭეშმარიტებას.

დიადი და ლამაზია ის მიზანი, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა ვოროვსკი. და ახალი ცხოვრებაც ემსგავსება მას, როცა განადგურებს ამ ქვეყნიურ ჯოჯოხეთს.

# ქ ა ლ ა ქ ი

მიყვარს ქალაქი, იგი მძიმე, გამოუცნობი...
მიყვარს ქალაქის დინამიურ ცეცხლების ბგერა,
და მის ფერხულში ჩაბმული ვარ პოეტურ გრძნობით
და მის ხმაურში შევისწავლე შრომის სიმღერა.

ქალაქი ვრცელი ხან ხმაურობს გიჟი და მძიმე,
ბობოქარ ზვირთებს მოგაგონებს მისი ღრეობა.
სავსეა კვნესით, მწუხარებით, ლხინით, ქეიფით
უბნათ მტირალი, უბნათ ლხენა და უბნათ ობა.

ვინ გამოიცნობს ლეგენდარულ ვრცელ სულს ქალაქის!..
ქუჩა ზღვა არის: იქ ეტლები, იქ ტრამვაები,
ველოსიპედი... მუშა კურტნით, იქ მათხოვარი
ავ ცხოვრებისგან შენაწუხი განავაები.

მოსთქვამს და გოდებს ვრცელი ქუჩა გამოუცნობი;
ხედავ პაწიებს ხელ გამოწვდით თხოულობს პურსა,
ცხოვრების რყევამ ის გახადა ქუჩის მათხოვრად
და გამვლელები? არვინ უგდებს მათ თხოვნას ყურსა.

ელვისო მძლავრი ექსოვება ქუჩიდან ქუჩებს
და ამოძრავებს გამალებით რკინის მანქანებს,
და მის სიმძიმეს ქალაქისას მრავალი წლობით
გიგანტიური თავგანწირვით წინ მიაქანებს.

ქარხნის ტრიუმფი სიამაყით ცათ აბჯენილი
ცის კაბადონში გვირილებად აქარგავს მილებს,
ქარხნის ყიჟინა ახმაურებს ქალაქის სიღრმეს,
ცხოვრების თარზე ათამაშებს სხივთა კლავიშებს.

მიყვარს ქალაქი, იგი მძიმე, გამოუცნობი,
მიყვარს ქალაქის დინამიურ ცეცხლების ბგერა,
და მის ფერხულში ჩაბმული ვარ პოეტურ გრძნობით
და მის ხმაურში შევისწავლე შრომის სიმღერა.

**გოგიტო ციმბირელი.**

# ახალი წელი

დროთა ბრუნვას მოსწყდა 1923 წელი და ისტორიის არქივს ჩაჰბარდა...

მრავალ ფეროვანი იყო გასული წლის შინაარსი: მას ახასიათებდა პოლიტიკურ ჰაერის სიმკვრივე, სოციალურ ნერვების დაჭიმვა, დამარცხებანი და გამარჯვებანი, მწუხარება და სიხარული... ამ ფსიქოლოგიური ფაქტორების მატარებელი იყო ძალა, რომლის ისტორიულ მისიას ახალი ქვეყნის, ახალი ადამიანის და ახალი ცხოვრების შექმნა შეადგენს. ასეთია მუშათა კლასი, რომლის მწუხარება და სიხარული, გამარჯვება და დამარცხება—ცხადია ნაციონალური კოლორიტით არ დახასიათდება.

პროლეტარიატის სულიერი აღტკინება, მისი ფსიქოლოგიური დაქვეითება და აღორძინებაც საერთაშორისო ხასიათისაა, რადგანაც საერთაშორისო პროლეტარიატი, მიუხედავათ მისი სახელმწიფოებრივ ტერიტორიალურის მხრივ დაყოფვისა, სულიერათ მჭიდროთ არის შეკავშირებული; ამ შეკავშირებას თხოულობს საგანთა და მოვლენათა ლოღიკა, ფაქტთა ობიექტიური მსვლელობა და თვით შინაბუნება პროლეტარიატის ისტორიული მისიისა.

მიუხედავათ ამ ობიექტიური არგუმენტაციისა საერთაშორისო პროლეტარიატი **ორგანიზაციულად** იმ ზომ ვერ იყო შეკავშირებული, რომ შესაფერისი თავდაცვით ეპასუხნა ბურჟუაზიის თავდასხმაზე—ამით აიხსნება გერმანიის რევოლიუციის დაგვიანება, ინგლისის მუშათა კლასის ქრისტიანული სულიერი განწყობილება და სხ. და სხ. რასაკვირველია ამ ფაქტს შესაფერისი გასამართლებელი მიზეზები აქვს...

ამ შემთხვევაში წერილის პირდაპირ მიზანს არ შეადგენს ამ მიზეზების განხილვა. აქ აღსანიშნავია ის, მხოლოდ როგორც ფაქტი. ამ, ასე ვსთქვათ უარყოფით მომენტთან ერთათ მუშათა მოძრაობას აუცილებლად დადებითი მომენტი ახასიათებდა. ამ დადებით მომენტის მატარებელი იყო უმთავრესათ რუსეთის მუშათა კლასი, რომელიც უკვე მეშვიდე წელია, რაც ფხიზლად სდარაჯობს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის პოლიტიკურად მიუვალ ციხე-სიმაგრეს—საბჭოთა რუსეთს. ეს დადებითი მომენტი გამომჟღავნდა იმ სამეურნეო და კულტურულ გამარჯვებებში, რაიც განიცადა და რასაც დღესაც განიცდის რევოლიუციონური რუსეთის პროლეტარიატი.

პარალელურად ამ პროცესთან ვითარდებოდა და მეცნიერულად მაგრდებოდა პროლეტარული მსოფლ-მხედველობა, პროლეტარული კულტურა. პროლეტარული კულტურის ზრდა და განვითარება უარყოფითი გზით მიმდინარეობდა: ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის დაქანება მშრალ და უსიცოცხლო განყენებამდის (აბსტრაქციებამდის) და მით მისი მეცნიერული ღირებულების სრული განიავება—აი ის წყარო, რომლითაც იკვებებოდა და იზრდებოდა პროლეტარული მსოფლ-მხედველობა გასულ წელს.

გასული წლის პროლეტარულ იდეოლოგიაში ცენტრალური ადგილი პროლეტარულ პოეზიას ეჭირა.

როგორც დასავლეთში, ისე ჩვენშიიც—მთელ საბჭოთა ფედერაციაში, პროლეტარული პოეზია დადებითი გზით მიმდინარეობდა. ქალაქი, ინდუსტრიალური ეპოქა, ქარხნები, ბრძოლის კულტი—აი რა იყო არსებითი თემა პროლეტარული პოეზიის. ესთეტიურ ფორმებში განსხეულებული ეს თემა ბრძოლის მიმართულებით ათანწყობებდა მუშების გრძნობებს და მით პროლეტარული პოეზია ნამდვილ რევოლიუციონური საყვირის როლს ართულებდა, დინამიურმა შინაარსმა დინამიური ფორმა შექმნა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფორმის, ტეხნიკის მუშური პოეზია მოიკოჭლებდა.

აქვე აღსანიშნავია ის გარამოება, რომ პროლეტარული პოეზია გასულ წელს იკვებებოდა **მხოლოდ** ქარხნის ჰანგებით. ქარხნის ჰანგებშია პროლეტ. პოეზიის ბუნება. **პროლეტარულმა პოეზიამ გასულ წელს ერთიანათ დასწურა ქარხნის ჰანგები და მით მთლიანათ გაშალა ესთეტიურ ხაზებში ბრძოლის კულტი.** აქედან ცხადია პროლეტარული პოეზიის განვითარება შესაძლოა მხოლოდ ახალი მომენტის მიმატებით, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ გასული წლის პოეზიამ სავსებით ამოსწურა ბრძოლის კულტი. ეს ახალი მომენტი უნდა მდგომარეობდეს პროლეტარულ ლირიკაში, რომელიც ბრძოლის ყიჟინის ჰანგების ესთეტიურ ფონზე დამყნის ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლის შინაგან განცდებს.

ახალმა წელმა პროლეტ. პოეზიის ეს უდიდესი პრობლემა უნდა გადასჭრას, წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარული პოეზია მოკვდება.

ძველი წელი მოკვდა—გაუმარჯოს ახალს!

**შ. დუდუჩავა.**

# ვარდონა

(ეტიუდი)

მე მიყვარს შენთან ფიქრი, შენთან მუსაიფი ჩემო ოცნებავ!..

შენ ლამაზი ხარ გაზაფხულის ვარდივით და მშვენიერი, როგორც ცის ვენერა.

ვარდონა!

შენ ანათებ კიდით-კიდეს და კდემა მოსილი სინარნარითი ხიბლავ დილის რიჟრაჟზე თრთოლვით აციაგებულ მზის სპეტაკ სხივებს.

შენ უკვდავება ხარ მარადიული შენის უცნაურის ხატებით.

დარჩი სამუდამოდ ასეთად, რომ მე უფლება მექნეს თუნდ შორიდან შენი სიყვარულისა.

ერთხელ, დიახ, ერთხელ, შენ შეხვდი მშვენიერ ჭაბუკს და სისხლმა გამალებით დაგიწყო დენა.

ის იყო ბრწყინვალე გვარის შვილი.

ოქროს მკერდ მოქარგულ ქულაჯაში გამოწყობილი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა.

— მშვენიერო ასულო, ვინ ღირს არს შენს გაცნობასა და სიახლეს?—წაილაპარაკა მან.

ამ სიტყვებზე შენ შესდექ რეტ დასხმულივით და .. მობრუნებულ ყმაწვილს ხელი გაუწოდე. ის გეამბორა და გაშმაგებით ჩაგიკრა გულში.

ასეთი სითამამისათვის გამწყრალი დაუსხლტი ხელიდან და უდიერად მოიხსენიე.

ის შეკრთა და თავდავიწყებიდან გამორკვეულმა მდაბლად დახარა თავი

შენმა მრისხანებამ მარად ამაყი და გულზვიადი მოსტეხა, შვილდივით მოხარა.

შენ მას თვალებში ჩააშტერდი და... როდესაც ლამაზ სხეულში ლამაზი სული ვერ დაინახე ბრძანების კილოთი უთხარ:

— წადი!

ბარბაცით გაგშორდა და შემდეგ აღარ შეხვედრიხარ მას.

მაშინ მე უკვე ქარხნის მუშა ვიყავი პირზე მურ მოღებული და ხელებ დაკოჟრებული კრძალვით შემოგქცქეროდი.

შენგან გაწბილებულმა თავადმა მგელივით შემომიბღვირა, თავისი ბრაზის ამოყრა ჩემზე სცადა, წასწია ხელი ხანჯლისკენ, მაგრამ მე დავასწარ, მოხდენილი სარმით პირქვე დავანარცხე. მტვრიანი ქუჩა სისხლით შეიღება.

ყველა ამისთვის 24 საათი დატუსაღებით დამსაჯეს.

როდესაც ეს ამბავი ქარხანაში ამხანაგებს უამბე ბევრი იცინეს.

მას შემდეგ კარგა ხანია.

ბევრი კურიოზები განვიცადეთ.

ჩვენს თავადს ბრწყინვალება დააკლდა.

ის ალანცა რევოლიუციის ცეცხლმა.

მეფის ტახტთან ერთად წოდებრივი უპირატესობაც დაიმსხვრა.

ვაშა და დიდება რევოლიუციას.

მე მიყვარს ის, მიყვარს რადგანაც ანადგურებს ყოველივე ძველსა და დრო მოჭმულს.

რევოლიუციამ ქარხნის მუშასა და სოფლის გლეხკაცს მიანიჭა პოლიტიკური უფლებები.

დღეს კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ.

წინეთ ასე არ იყო...

ჩემო ვარდიონა!

იქნებ არ მოგწონს შენ ეს, იქნებ სთქვა, ამ რევოლიუციამ ათასი უბედურებაც თან მოიტანა, ნივთიერად გასტეხა ხალხი და სილაღაკის წუმპეში იხრჩვება ქვეყანაო?

არა ჩემო კარგო!

ასი ათასჯერ მეტი გაჭირვებაც რომ დასწოლოდა ხალხს კისერზე, მაინც იოლი ასატანი იქნებოდა, იმდენად ძვირფასია **თავისუფლება.**

ჩვენმა გემმა გაიარა საშინელ ღელვასა და ქარტეხილში. გამწყრალი ცა გრგვინვით გვემუქრებოდა და უხვად გვაყრიდა ცეცხლმოდებულ მეხის ყუმბარებს.

ბევრი თანამგზავრი დავკარგეთ, ბევრი ჩამოგვაშორა შავმა სიკვდილმა, მაგრამ ჩვენ მაინც უშიშრად ვილტვოდით. ერთხელაც არ მოგვიხედნია უკან სინანულით.

ასეთი თავგანწირულებით მოვახწიეთ სასურველ ნავთსადგურს.

ეხლა ჩვენ ბედნიერები ვართ.

რაც დროებითი და წარმავალია, მასზე ფიქრიც ზედმეტია.

ჩვენ, ჩვენს დაპირებას აუსრულებთ ქვეყანას.

იქნება სისრულე ყოველმხრივი და სიკეთე დაულეველი.

დაულეველი.

როდესაც ძმა-ძმაზე კბილებს ილესს, მტერი მაგრდება, ძალას იკრებს, ერთი წამოწევა, წელში გამართვა და ყველაფერს მტვრად აქცევს.

ჩვენ ეს გვესმის.

ალბად ისინიც შეიგნებენ.

დედამიწის პირიდან გაიფანტება შავი ბურუსი და ჭეშმარიტებაც უფრო ადვილი დასანახი გახდება.

ჩემო ვარდონა!

ჩვენ ქარხნის მუშები რკინასა და ფოლადს ვსუნთქავთ, ჟანგითა და მურით ვიკვებებით.

ჩვენი სურვილი ურყევია და რწმენა დაუძლეველი.

ჩვენ შემოქმედი ვართ, ჩვენის შემძლებლობით.

ეს ტრაბახი არ არის.

შენ ნახე, როგორ ილვენთება გრდემლზე რკინა, როცა ჩაქუჩსა ვსცემთ და მაშინ დარწმუნდები.

რასაც ხედავ ყველაფერი მუშის ხელით არის შექმნილი.

მუშა ყოვლის შემძლებელია.

მე სულაც არ ვაჭარბებ.

ჩემო ვარდიონა!

ალბათ შენც მეთანხმები ამაში და სადაოც არაფერი გვაქვს.

ნეტამც ასე იყოს.

მაშინ ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებული გავსწევთ ამ მძიმე გზით.

შრომის სუფევის სამეფოს ზარების ხმას ქვეყანას ვაგაგონებთ.

ჩვენ პირველნი ჩამოვკრავთ მას. .

ოჰ, მე მიყვარს ოცნება.

აზროვნება და ფიქრი ისე, როგორც მინდა, როგორც მწადია!

მე ცოდვილი ვარ ყოველი ადამიანივით ..

ჩემო ვარდონა!..

დიდი ხანია ვეძებდი სიყვარულს, ცხოვრების თანამგზავრს, მხიბლავდა და მაჯადოებდა ლამაზი ქალის ლამაზი და სპეტაკი სული.

ცის ფერი თვალები...

მაგრამ შენს გარდა ვერავის დაუნახე ის.

მე შენი ტყვე ვარ.

შეიძლება მოვკვდე, შავმა მიწამ შავი კალთა გადამაფაროს.

გაივლის თვეები, წლები და შენ მაინც გაიგონებ მოკლული გულის მწუხარე ამოკვნესას:

მე შენ მიყვარხარ!..

ვარდონა!..

ჩემო ვარდონა!..

**ბესარიონ პელაშვილი.**

# არწივთან ბრძოლა

სულ თორმეტი წელიწადია, რაც რიგიანათ გამოისხა ფრთები ადამიანმა.

**შევალიეც** პირველი „ლოთი" იყო, ფრთების სილამაზით დამთვრალი.

მთელი სიცოცხლის დღესასწაული იყო შევალიესთვის, როცა პირველად აშორდა იგი დედამიწას და ჰაერში ისე უცნაურად, ისე მსუბუქად დაიწყო სრიალი.

ელვის სისწრაფით უვლიდენ გულში ფერად ფერადი ზღაპრული გრძნობანი:

მას სიამით ნება მიხდილს ეჩვენებოდა, რომ ორმოცი მეტრის სიმაღლიდან იგი სამუდამოთ დაჰშორდა დედამიწას და ცასთან კი... ცასთან კი ისე ახლოა, რომ მხოლოდ უკვირს:

რატომ არ ესმის ხმა ანგელოსთა!

რატომ ვარსკვლავნი არ მოლავდებიან იმის ირგვლივ თვალმარგალიტად!

მეფურის განცდით გულ-გავსებული იგი სულ მაღლა იცქირებოდა...

იგი წმიდა ელიაა!

იგი ფაეტონია!

იგი მერკურია!

ან იქნებ... იკარი!

რა ჩამოეშვა ძირს—აღარა სჯეროდა, რომ კვალად დედა-მიწაზე სდგას.

რომ ფრთები აღარა აქვს.

ცაში აღარ ჰფრენს.

ეხლა დარწმუნდა შევალიე, რომ გრძნობა მარადიული, გრძნობა ღვთიური მხოლოდ სიმაღლისა და სილამაზის განცდაშია.

განსაკუთრებით კი სიმაღლეში.

იქ..

ცაში...

მიწიდგან აწყვეტაში...

ექვსი საათი ხდება.

ჩქარა დაიწყება გაჯიბრება რამდენიმე ასი ათას ფრანკზე—

**პარიზი—რომი.**

მრავალი მფრინავები თავიანთის აპარატებით უკვე მზათ არიან.

შევალიემაც გამოიყვანა თავისი „ჩიტი".

—ღმერთო ჩემო! ცაში რა კარგად დაჰფრენს და მიწაზე კი როგორ დაბობლავს!

ექვს საათზე დაიწყო გაფრენა.

შვიდ საათზე აღარავინ იყო.

შევალიეც გაფრინდა.

ალპიის მთათა სადარაჯოზე, ფერ მიხდილ ღრუბელთა შორის გამოჩნდა შავი წერტილი.

მოახლოვდა—იგი არწივი არის.

მოახლოვდა—იგი შევალიე არის.

მრავალ ცის შვილთა შორის მხოლოდ იგია დაწინაურებული პირველი იგი უნდა შეეგებოს რომის ცას, კოლიზეუმის გუმბათს...

იგი მიჰქრის წინ.

იგი გონ არეულია, თავდავიწყებული.

ყოველი წუთით იგი სწვდება რაღაცა უმშვენიერეს, რაღაცა მარადიულს.

იგი თვითვე ჰქმნის ქარიშხლოვან სილამაზეს და ამ უცნაურ თარეშით თითქმის უერთდება—

ცას,

მსოფლიოს,

საუკუნეთა საიდუმლოებას,

უმაღლეს უმიზნოებას.

და თან ამ შეერთებაში ხილულობს იგი ყოფნა-არ ყოფნის თავდავიწყებას.

მიფრინავს, მიფრინავს...

წინ აღარაფერი ელობება.

სად არის საზღვარი ცისა?

ეს თეთრი ღრუბელი სადღა მისცურავს?

ოო, ბავშობისას რამდენჯერ უნატრია შევალიეს მასზედ ფრენა!

რამდენჯერ შეუხედია გულ-დაწყვეტით, შურის თვალით!..

ეხლა კი მისწვდა ვილარსად წაუვა.

ეხლა კი შეისრულებს ნატვრას!

იგი მთელის სისწრაფით გაექანა წინ მქროლავ ღრუბლისკენ.

მიჰქრის და... უეცრივ გამოერკვა:

ეს ვისი ხმა იყო?

თვითონ მღეროდა თუ ციდან მოესმა რამე საგალობელი!

მისდევს შევალიე მისცურავს ღრუბელი.

აგერ მარმარილოს მთასავით ამართულან კიდეც სხვა ღრუბელნი.

იგიც მათკენ მიეშურება.

იგი უკვე შეუერთდა.

შევალიეც დაეწია და თითქოს რაღაცის გამოსაჯავრებლად თამამათ შესრიალდა ღრუბელთა მთაში

ღრუბელთ იქით კი, მეორე მხარეს აღმართულიყვენ უშველებელი კლდიანი მთები.

შუაგულ მაღალ ნაპრალიდან უეცრივ წამოიჭრა არწივი.

იგი შეაშინა შევალიეს დანახვამ და ეხლა მიჰქრის შორს, საფრთხეს გაურბის.

მაგრამ შევალიე კი არწივი არ არის!

განა მას არა აქვს ფრთები!

განა იგი არ ფრინავს!

—ფრინავს და არწივზე უკეთესადაც.

მაშ უნდა დაეწიოს იგი არწივს, უეჭველად უნდა დაეწიოს.

მთელის სისწრაფით აამუშავა მანქანა და გაუდგა არწივს.

ფრინველთა მეფე უფრო შეშფოთდა.

უფრო მძლავრად გაშალა ფრთები და გაეშურა ზევით. რომ იქ, ცის სიმაღლეს შეაფაროს თავი.

მაგრამ შევალიემაც უფრო სწრაფად აამუშავა თავისი ფრთები და მისდევს კვალ და კვალ ამაყ ფრინველს.

ოო, ეს ყველაზედ ლამაზია!

ეს უფრო გადამრევია!

— წინ!

-- მაღლა!

— სწრაფად!

-- მძლავრად!

— კიდევ სამი მუქარა!

— კიდევ ორი მუქარა!

— და დაეწევი არწივს!

— და წინ გაუსწრებ არწივს!

ამ დროს იფეთქა რაღაცამ და შევალიეც ელდასავით დაექანა ძირს.

მოტორი გასკდა.

ძირს პიტალო კლდეებია.

იგი უნდა დაიღუპოს.

ელვის სისწრაფით იგრძნო ყველაფერი ეს.

ვერა! ვერ გადაურჩება ამ დამუქრებულ კლდეებს!

კიდევ რამდენიმე თვალის დახამხამება—და ყველაფერი მორჩა!

სიკვდილის ხმა უკვე საზარელად მოისმის...

**შევალიემ წამოიწია სასწრაფოდ და ერთი კიდერ შეჰხედა მაღლა, ცაში მქროლ არწივს.**

ამ დროს გაისმა საშინელი ლეწვა და...

დამთავრდა ყველაფერი.

ამაყურად მფრინავი არწივი ისევ მოსჩანდა მაღლა, ცის კამარაზე.

შევალიე კი დაჭეჭყილი, სისხლში მოსვრილი უსულოდ ეგდო ჩონჩხებად ქცეულ თავის ფრთების ქვეშ ..

ჰოი, კლდეო მიუვალაო!

ან ქარიშხალო!

სად აღიბეჭდა უკანასკნელად სულის შეხედვა!

ნატვრა,

ან შური!

სად აღიბეჭდა!

**ლევ. მეტრეველი.**

# საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის დელეგატები



ვლ. ლენინი



ს. ორჯონიკიძე



მ. ცხაკაია



ლ. ტროცკი



მ. ორახელაშვილი







# ყაყუჩას ქორწინება

(ნამდვილი ამბავი)

1.

თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბანში სხოვრობდა ვინძე ბესო ჯერამაშვილი.

მეტ სახელად მას ყაყუჩას ეძახოდნენ.

ყაყუჩას მთელი სოფელი იცნობდა.

დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ყაყუჩაზე ლაპარაკობდა, ოხუნჯობდა, თავს იქცევდა:

ბუნებით ბეჩავს და ჭკუა—მხიარულ ყაყუჩას სოფელი უფრო მეტად, უფრო უარესად ასულელებდა.

— ჯვარს როდის იწერ, ყაყუჩ—აუტყდებოდა ერთი

— ვისი ქალი უნდა მოიყვანო, ყაყუჩ—დასცინებდა მეორე.

— ქორწილში მე კი არ დამპატიჟებ, ყაყუჩ?—ჩააცივდებოდა ძესამე, მეოთხე და ასე დაუსრულებლივ, დილიდან-საღამომდის მოსვენებას არ აძლევდნენ საწყალ ადამიანს.

— ხი-ხი-ხი-ხი!—უაზროდ ჩაიხითხითებდა ყაყუჩაც და შებზრიალდებოდა ჰაერში.

სოფლის გოგო ბიჭებისგან ხომ ნიადაგ გაბეზრებული იყო ყაყუჩა.

ყველა მას იბორიყვებდა, ყველა მას იჩოთირებდა და სტანჯავდა

არც ერთი ქომაგი, არც ერთი შემცოდებელი არ გააჩნდა ყაყუჩას.

სარგებლობით?

ვინ გინდა, რომ ყაყუჩათი არ სარგებლობდა:

— ყაყუჩ დუქანში გამეგზავნე!

— ყაყუჩ, ხორბალი წაძიღე წისქვილში!

— ყაყუჩ, ერთი გუდურა ფიჩხი ჩამომირბენინე ტყიდან!

— ყაყუჩ, ერთი კოკა წყალი მომიტანე!

— ყაყუჩ, შეშა დამიჩეხე...

და ვინ მოსთვლის კიდევ რას არ ავალებდნენ, რას არ აკეთებინებდნენ საბრალობელ ყაყუჩას.

მთელი სოფელი სახედარივით იმსახურებდა ყაყუჩას, ხოლო მისი მადლიერი, მისი შემცოდეებელი კი მაინც არ ვინ იყო.

არამც თუ გარეშეს, ღვიძლი ძმასაც კი არ ებრალებოდა ყაყუჩა. ხშიოად ისეთი ხძით აუბლავლებიია ეს ამოდენა ვაჟკაცი შვინდის სახრით, რომ ქვაც კი ატირდებოდა მისი საცოდაობით.

ერთად-ერთ ძაღლს-ღა ენანებოდა საწყალი ყაყუჩა. ის იყო მისი თანამგრძნობელი, მხოლოდ ის დაიწყებდა წკმუტუნს, როცა მას ცემას დაუწყებდნენ.

2.

უქმე დღე იყო.

სოფელ ვარდისუბნის მცხოვრებნი გარედ გამოშლილიყვნენ.

ერთ ერთ დაგვილ-დაკრიალებულ კალოზე თავი მოეყარათ ახალგაზდა გოგო-ბიჭებს და დაირა-ბუზიკა გაეჩაღებინათ.

„დაირა-ბუზიკის" ხმაზე ყველა კალოსაკენ გაეშურა.

– ყაყუჩა ვათამაშოთ, ბიჭებო, ყაყუჩა!—დაიძახა ვიღამაც თავ-მოყრილ ხალხში და ყველამ თვალები ჭყიტა სეირის სანახავათ.

— აბა, აბა, ტაში, გოგოებო, ტაში!—შესძახა თანდილაანთ მიხომ და მის ტაშის ხმას ბანი მისცეს სხვებმაც.

— გადმო, ყაყუჩ, გადმო!

— აბა ერთი შენებურათ გაშალე ე მოხდენილი მკლავები და ქორივით ჩამოუარე ამ ათქვირებულ გოგოებსა.

ელაზღანდრავებოდნენ ყაყუჩას დარდიმანდი ბიჭები და ისეთაც გაწყალებულ ჩოხაფარაჯას ბღლარძუნით ტანზე აფხრეწდნენ.

— გამანებეთ თავი!—დაბეჩავებული გამომეტყველებით ეღრიჭებოდა ყაყუჩა ბრბოს მაგრამ ამაოდ...

— გადმო რაღა, შე პირ-ძაღლო, შენა!—ებღაუჭებოდა ჭრიღანაანთ რომანა და წრის შუა გულისაკენ მიათრევდა ყაყუჩას.

— ეი გიჟები არიან ე მუდრეგები, ესენი? რა გინდათ ჩემგან, აბაი-მე!

კარგა ხანს ბღლარძუნით მოქანცულს ყაყუჩას მოთმინება ეკარგებოდა, მაგრამ რას გახდებოდა მხარ-ბეჭ ჩასხმულ დავაჟკაცებულ ბიჭებთან.

— განი, ბიჭებო, განი!—ყიჟინით შეუტია ხალხით შემოფარგლულ პატარა წრეს ვეფხვივით წამოსადეგმა თედომ და საკმაოდ გააფართოვა საცეკვაო ადგილი.

— ყაყუჩა უვლის, ყ ყუჩა!—გაისმა წრეში დამცინავი ხმა და ყაყუჩას ძირ-გავარდნილ ქალამნების ფხაკაფხუკს, ხალხი ტაშს აყოლებდა.

— ოჰ, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!—დასცინოდა ერთი.

— რა ეშხითა თამაშობს დაა!—წამოიძახა მეორემ.

— მე ვიცი, მხარ ბეჭი არ უვარგა აი!—დასცინა მესამემ და თავ მოწინებული სიყოყოჩით შეჰხედა თვალებში თავის გვერდით მდგომ ბროწეულივით მოწეულ გოგოხას, რომელმაც მორცხვად თავი დახარა.

ვინ იცის როდის დასრულდებოდა ყაყუჩას ტანჯვა-წვალება, რომ ერთ გარემოება არ ეშველნა:

ჭიდაობაში განთქმულს ხეგლეჯიანთ ლევანას, რომელიც ღვინით იყო შეზარხოშებული, ჩხუბი მოუვიდა კურდღელაანთ ილოსთან და გაჩაღდა ხელჩართული კრივი.

წრის არევ დარევითა და ჩოჩქოლით ასარგებლა ყაყუჩამ, გასხლტა ხალხიდან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შინისაკენ მოძუძგა.

— არიქათ, ბიჭებო, არიქათ! ყაყუჩა გაგვექცა, ყაყუჩა! დაიჭით ეგ ფერ ძაღლი, ეგა, დაიჭით!—აღრიალდა, მოჩხუბოების გაშველების შემდეგ, ხალხი.

ნადირივით დაფეთიანებული ყაყუჩა კი, ქუდ-მოგლეჯილი გარბოდა სახლისაკენ და უკან აღარ იყურებოდა.

3.

ერთი სასაცილო და სამწუხარო ჩვეულებაც დასჩემდა ბეჩავ ყაყუჩას.

რა არ ილონეს, რა ხერხსა და საშუალებას არ მიჰმართეს ამ ახირებულ ჩვეულების დასაშლელად, გადასავიწყებლად, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ის მაინც დაჟინებით თავისას გაიძახოდა: გინდათ თუ არა, ცოლი უნდა მომგვაროთო.

ეს ზნე-ჩვეულება სოფლის ბიჭების მიერ ნიადაგ ქალებზე ლაპარაკითა და ცოლის შერთვის ჩაძახილით დასჩემდა ყაყუჩას.

სოფლის გალაზღანდარავებულ ბიჭებსაც ხომ ამის გაგონების მეტი არა უნდოდათ-რა: დაინახავდნენ თუ არა სადმე ყაყუჩას, აუტყდებოდნენ:

— ყაყუჩ, ვის ქალსა თხოულობ?

— ყაყუჩ, დიდ ყურაანთ გოგოს ათხოვებენ, გინდა გაგირიგო?

— ჰი-ჰი-ჰი-ჰი!—სულელურად ჩაიხითხითებდი სახე-შეშლილი ყაყუჩა ბიჭების ყოველ შეკითხვაზე და სიხარულით ტაშს შემოჰკრავდა.

ყაყუჩა ღრმად დარწმუნებული იყო სოფლის ბიჭების ცრუ მაჭანკლობაში, ეჭვიც კი არ ეპარებოდა მათის ყბედობაში.

სამაჭანკლოდ ზოგს წინდა-პაჭიჭებსა ჰპირდებოდა, ზოგს კიდევ ერთ წყვილს ქალამნებს.

ეს სახუმარო საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველასაგან აბუჩად აღდებული და ათვალისწინებული ყ ყუჩა დაცოლშვილიანებულ თავის უფროსს ძმასაც კი თოფით ხელში გამოეკიდა მოსაკლავად: გინდა თუ არა ჩემი წილ ხვედრი ადგილ-დედული გამომიყავი, ქალი უნდა მოვიყვანოვო.

გეყო, რაც თავში მიფაჩუნებდი და სახედარივით მიმსახურებდი. მორჩა, ველარ მოგართვი ეხლა მე ჩემთვის უნდა მოვეწყო, ჩემთვის ცალკე უნდა დავსახლკარდეო.

გადაჭრით ამბობდა ყაყუჩა და წინააღმდეგ შემთხვევაში ძმას სახლ-კარის გადაბუგვით ემუქრებოდა.

ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა ყაყუჩას უფროსი ძმა სიკო და საგონებელში ჩააგდო.

— ხალხო, რა წყალში ჩავვარდე, როგორ მოვიქცე, ე ჩემი ძმა, რომ ასე გადამერია?—შესჩიოდა სოფლის დუქნის წინ თავმოყრილ ხალხს სიკო.

როგორ თუ როგორ მოიქცე, აიღე ერთი ნედლი შვინდის სახრე და სულ გვერდები აუჭრელე!—ურჩია ერთმა იქ დამსწრეთაგანმა სიკოს.

— აბა რეებსა ჰბოდავ შე კაი კაცო, შენა, იმ დამთხვეულსა და გადარეულს რაღა ცემა ეჭირვება?

—აი რას გეტყვით,—დაიწყო სიკოს მახლობელმა ქიტესამ მოდით ერთი ოინი უყოთ, თუ თქვენც მიყაბულებთ.

— აბა, აბა, სთქვი, ქიტეს!—შესძახეს ერთხმად.

— აი რა: ერთ-ერთი ჩვენთაგანი მოვრთოთ ქალურად, მიუგზავნოთ სიკოს ვინმე შუამავალი ვითომ და ამ ქალის ყაყუჩაზე მისათხოვად.

— მერე, მერე, ქიტეს—მოუთმესლად ეკითხებოდნენ მსმენლები.

— მერე—და, მოვარიგოთ საქმე, ერთ მშვენიერ დღეს შევსხათ ეს მეფე დედოფლები ცხენებზე და საყდრისაკენ რომ დავიძვრებით, ორღობეში წინასწარ განზრახვით ჩასაფრებული ჩვენი ბიჭები დარიგებისამებრ დაგვეცნენ თავს, გაიტაცონ პატარძალი და მეფე კი ერთი ლაზათიანად მიბეგვონ.

— ოჰ, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი, ქიტეს, ეგ რა კარგი რამ მოიგონე ბიჭო-და!

— თანახმა ხართ თუ არა?

ჰაი, ჰაი რომ თანახმა ვართ!—უპასუხეს ერთხმად.

— კარგი—და, ვის ჩავაცვათ ქალურად?

— ვისა და ისევ იმას, ვინც ეს მოიგონა.

მართალია, მართალი! ქიტესას!—ყვიროდა ხალხი.

— არა, ხალხო, რომელიც უფრო ლამაზი იყოს იმან ჩაიცვას, არწმუნებდა ხალხს ქიტესა.

— არა, არა! შენ უნდა იყო, შენა! შენს მეტი ვერავინ მოახერხებს ამ ეშმაკობას.

— რა გაეწყობა, რაკი არ იშლით.

— მაშ, აბა საქმეს შეუდგეთ, საქმეს. ერთი ისეთი სეირი უჩვენოთ, რომ ცოლი კი არა ქალთა ჯიშიც კი თვალის დასანახავად ეზარებოდეს.

გადაწყვეტითა სთქვეს და მხიარული სიცილ-ოხუნჯობით წავიდ-წამოვიდნენ თავთავიანთ ბინებისაკენ.

4.

კვირაძალი იწყებოდა.

სამუშაოდ გასული სოფლის ხალხი მოგუგუნე შრომის სიმღერით გუნდ გუნდობით შინისაკენ ბრუნდებოდა.

კარგა დაბინდდა.

ყველანი ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

სიკოს ოჯახობაც ამ სამზადისში იყო. ისინი ფიცრულ ქოხის შუაგულში დაგუზგუზებულ ცეცხლს გარშემოსხდომოდნენ და მათს ტკბილ მუსაიფს ცეცხლში მიდგმულ ლობიოთი სავსე კოჭობის მხიარული თუხთუხი უერთდებოდა.

5.

— სიკო! ჰაი, სიკოოო! — გაისმა ვიღაცას გარედან ძახილი.

— ჰაე! — გამოსძახა მასპინძელმა

— ერთი ცოტახანს კარში გამოიხედეთ.

— გადი, გაიხედე. ვანო, ვინ იძახის? — მიუბრუნდა სიკო თავის უმცროს ძმას ყაყუჩას, რომელიც იქვე ცეცხლთან კონძზე ჩამომჯდარიყო და ლობიოს ცეცხლს უმარჯვებდა.

— გამარჯვება შენი, ვანო! — კარის ჭრიალით გაღებისათანავე მიესალმა ქიტესა ყაყუჩას.

— გაგიმარჯოს!

— სიკო შინ არის?

— ჰო-დე!

— აბა ერთი გარეთ გამოუძახე, მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს.

— შემოდი კაცო, რა შორი ახლოსა დგეხარ. ქიტესა შეჰყვა ყაყუჩას.

— აქა მშვიდობა! — ოთახში შესვლისა თანავე წარმოსთქვა ქიტესამ და ნაბდის ქუდი მოიხადა.

— გაგიმარჯოს ჩემო ქიტეს, მოდი დაჯექი ცეცხლთან.

ქიტესამ აიღო იქვე ახლოს მდგარ ხის სამფეხიანი პატარა სკამი და მიუჯდა გაჩაღებულ ცეცხლს.

— სხვა ქიტეს, როგორ გიკითხო.

— გმადლობ შენი ჭირი-მე.

— რას მეტყვი, რისთვის გასჯილხარ, ჩემო ქიტეს — ჰკითხა სიკომ, თითქოს არაფერი იცისო და ეშმაკურად ჩაიცინა ულვაშებში.

— კაცო სიკო, ე შენ ძმა ვანოას რომ დაუქინია ცოლი შემრთეთო...

— მერე! — გააწყვეტინა სიტყვა სიკომ, ვითომ და აღტაცებისაგან.

— მერე — და, ერთი კოხტა გოგო მყავს აჩენილი. თუ შენ თანახმა იქნები და ვანოასაც მოეწონება, გაურიგებ. მხოლოდ სამაჭანკლო კი ვანოაზე იქნება.

— ჰი-ჰი-ჰი ჰი! უაზროთ ჩაიხითხითა ყაყუჩამ და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

— რა ვიცი, აბა ძმაო, აი ეს კაცი და შენ: როგორც გინდოდეთ, ისე მოიქეცით — ფარული ღიმილით მიუგო სიკომ ქიტესას და ალმაცერად შეჰხედა ყაყუჩას.

— ჰი ჰი-ჰი-ჰი! — ყეყეჩური კმაყოფილებით შესცინა სიკოს ყაყუჩამ.

— ჰა, შენ რაღას იტყვი, ვანო, ჭკვაში გიჯდება თუ არა ჩემი სიტყვა? გინდა თუ არა ი გოგო?

— ჰი-ჰი-ჰი!

— რა გაცინებს კაცო, გინდა თუ არა?

— ჰი-ჰი ჰი-ჰი, მინდა.

— ვინ არის, ვისი ქალია, კაცო, აღარ იტყვი? — იკითხა სიკომ.

— აი ქვემო უბნის წენგოლაანთ გოგოა.

— რა ჰქვიან?

— თებრო.

— ჰოოო, ვიცნობ, არა უჭირს-რა, ძმას არ დამიჩაგრავს, ღირსეულ მეუღლეობას გაუწევს — ჩუმი და დამცინავი ღიმილით წარმოსთქვა სიკომ და ქიტესას ქურდულად თვალი ჩაუკრა.

— შენ არხეინად იყავი, ჩემო სიკო, მაგისთანა გოგო მთელ სოფელში მეორე არ მოიძებნება.

— მზითევი აქვს რამე — იკითხა სიკომ.

— რატომაც არა. ყველაფერიცა აქვს: შკაფი, კამოდი, სავლები და ვინ მოსთვლის კიდევ რა.

— ვანო, თუ ძმა ხარ, შეშა შემოიტანე და შეუკეთე ცეცხლს — უთხრა სიკომ ყაყუჩას.

— აბა, ხომ ყველაფერი მზათ არის? — ჰკითხა ჩუმად სიკომ ქიტესას ყაყუჩას გარეთ გასვლის დროს.

— ყველაფერი, ყველაფერი! — ჩუმადვე უპასუხა ქიტესამ — ამაღამვე უნდა გათავდეს საქმე — ჰა, რას იტყვი, ვანო — სერიოზული სახით მიუბრუნდა შინ შებრუნებულ ყაყუჩას ქიტესა — შეირთავ თუ არა იმ გოგოს?

— ჰი ჰი-ჰი-ჰი!

— რა ვქნა, რას იცინი კაცო. სთქვი და გავათაოდ საქმე!

— ჰი-ჰი-ჰი-ჰი! შევირთავ!

ჰო-და ეგრე რაღა, შე კაი კაცო, შენა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ისინი თანახმანი არიან? — განგებ იკითხა სიკომ.

— ვინ ისინი, კაცო.

— ვინა-და ქალიაანი!

— რა ვქნა, მაშ მე რაღა მოხელე ვარ, რა მალაპარაკებს ამდენს რომ თანახმანი არ იყვნენ?

— როგორ, მათი მოგზავნილი ხარ?

— მაშა, კაცო.

ჰო-და ეგრე იტყოდი რაღა, შედალოცვილო, შენა.

— მაშ ასე. აბა მოამზადეთ მეფე და ჩვენც ეხლავე აქ გავჩნდებით — სთქვა ქიტესამ და წასასვლელად მოემზადა.

— მაიცა, კაცო, სად მიხვალ: ფული არ უნდა, ბეჭდები არ უხდა...

— რის ფული, რის ბეჭდები, ბეჭდებს მე თითონ ვითხოვ სადმე და ის იქნება. მერე როცა შეძლება ჰქონდეთ, მაშინ იყიდონ საკუთრივ.

— კარგი და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ე ტანისამოსს რაღა უყოთ, საიდან უშოვნოთ?

— მოგცლია რაღა. რა ტანისამოსი, გადაიცვი ე შენი ჩოხა-ახალუხი და ჰერი!

სიკოს გულში ეცინებოდა.

— ბიჭოს და, ასე უეცრივ ვის გაუგონია ყველაფრის გაკეთება?

— კაცო, ხომ არ გასულელებულხარ, ბედი კარზე მოგდგომიათ და წიხლსა ჰკრავთ. ჰა, რას იტყვი ვანო, მართალს ვამბობ თუ არა?

— ჰი-ჰი-ჰი ჰი!

— აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორ რძალსაც მომგვრი ოჯახში — სთქვა სიკომ და ფხუკუნი ძლივს შეიმაგრა.

— ეჰ, ნეტავ შენ რას გეყბედები ამდენს. ვანო, გინდა თუ არა, ძმაო გაბედნიერება?

— ჰი-ჰი-ჰი-ჰი! მინდა!

— ჰო და, ენგრე, მორჩა და გათავდა. აბა, მივალ. მზათ დამხვდით! — სთქვა ქიტესამ, ქუდი კებაზე მოიგდო და საჩქაროდ გავარდა გარედ.

— აი, გადაგრია ჩემმა გამჩენმა, აჰა! — სიცილითა სთქვა სიკომ და ფეხზე წამოიმართა.

6.

მოწმენდილი ღამე იყო.

არსად არც ერთი ნაფლეთი ღრუბელი არა სჩანდა.

პირ-სავსე მთვარე ვარსკვლავებით მოჭედილ ცის გუმბათს ნათელ ღლესავით აკაშკაშებდა.

მყუდროებით მოცულ სოფლის არე მარეში წყაროს ჩხრიალი მელოდიურ მუსიკათ იფანტებოდა.

იქვე მახლობლად დაცემულ ვაკე ტყეში ბულბული კვნესოდა.

ამ საოცნებო ღამეს ყველანი გარედ გამოეშალნა, მით უმეტეს, რომ ნაშუაღამევს სასეირო ამბავი უნდა მომხდარიყო.

ეს სასეირო ამბავი გახლდათ „ყაყუჩას ქორწილი."

— გაიგეთ, ხალხო, ყაყუჩა რომ ჯვარს იწერს? — სთქვა ერთმა თავმოყრილ ხალხში და გულიანად გადიხარხარა.

— რაო, რაო, — გაკვირვებით გამოეხმაურენ ყველანი.

— რა და ყაყუჩა ჯვარს იწერს.

— როდის, როდის, კაცო.

— როდის და ამაღამ.

— კარგი ერთი, შენს დაბერებას.

— ნუ დაიჯერებთ.

— ვინ ოხეო-მუდრეგია მაგ უჯიშოს, რომ ქალს აძლევს?

— რა ვიცი ქვემო უბნის გოგოაო. მზითევსაც აძლევენ და ქრთამსაცაო.

— აი, შეხი კი დავათხლიშე თავზე.

— რას ამბობ, რასა, ისე მოძულებული ქალი ვის ეყოლება, რომ ყეყეჩ ყაყუჩას მიუგდოს? — აბათილებდა ერთი ახალგაზრდა ამხმას.

— ნუ დაიჯერებ, შვილოსა და ვენახოთ, ეკლესიაში შეხ იდგები პატარძლის გვერდით თავზე გვირგვინითა თუ ი შენგან აბუჩათ აგდებული ყაყუჩა?

— ჰა-ჰა-ჰა ჰა! — გადიხარხარეს იქ შეკრებილმა სოფლის გოგოებმა და თან ქოქოლა გაუგზავნეს სამეფოდ გამზადებულ ყაყუჩას.

— ჰე-ჰეი, ყველაფერია, ბედი, ბიჭებო, თორემ ვინ იფიქრებდა თუ სოფლის მასხარა ყაყუჩას ვინმე გააბედნიერებდა ცოლის შერთვით?

— მერე, რა გოგოა თურმე და? — აწონებდა ერთი-მეორეს.

— ისეთი ჩათქვირებული და ჩარგვალებული ყოფილა როგორც ზაქი.

— ისეთი წითელი ლოყები აქვს, როგორც თურაშაული ვაშლიო.

— თქვენ ეგ რად გიკვირთ: ისეთი ბუზიკადაირის დაკვრა სცოდნია, რომ იამაშობაც არ იცოდე — მაინც აგითამაშდება ფეხებიო.

— ჰე-ჰეი, იღბალია, იღბალი!

— მაშა, მაშა, ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ბედი მომე და სანეხვეზე გადამაგდეო.

7.

ქალურად მორთულ-მოკაზმული და ფერუმარილით შელამაზებული ქიტესა ისეთი კარგი სანახავი იყო რომ ნამდვილ ქალში არ გამოარჩევდით.

ქიტესას მომრთველი გოგოები სიცილით იხოცებოდნენ.

მორჩით, მორჩით, თქვე დასაწყვეტნო, თორემ მეფეს თვალ-გული გადაელევა მოლოდინით — ოხუნჯობდა ქიტესა სარკის წინ ციბრუტივითა ტრიალებდა, კავებს უკეთებდა.

— აჰა, მზათა ხარ! — უთხრა მელანომ ჩიხტიკოპის დახურვის შემდეგ ქიტესას, და შეატრიალ-შემოატრიალა.

— აბა ცხენები! — დაიძახა მიხამ და გარეთ გამოვიდა. მას თან გამოჰყვა საპატარძლოთ მორთულ-მოკაზმული ქიტესა. ეზოში დერეფნის წინ მიბმული ცხენები აუშვეს.

— შესხედით! — განკარგულება გასცა მეჯვარე მიხამ და თავის ცხენს მოახტა.

— მოიცადე, კაცო, ჯერ დედოფალი შევსვათ! იძახოდენნ დანარჩენი ბიჭები.

— შესვით, რაღას უცდით, თქვე ოჯახქორებო, თქვენა!

ქიტესამ ფეხი უზანგში გაჰყო და ისეთი სისწრაფით მოახტა უნაგირს, რომ აბრეშუმის კაბა კინაღამ ზედ არ შემოაფხრიწა.

— ნელა, შე თავ-სასიკვდილევ, შენა, ე კაბა არ დამიგლიჯო—ნახევრად გაჯავრებით შეუტია მელანომ ქიტესას და თან სიცილს ვერ იმაგრებდა.

— ნუ გეშინიან მელანო, ე ჯვარის წერა კი მაცალე და თუ არ გიზლა, სიყმე მომიკვდეს!

— წავიდეთ, წავიდეთ, ბიჭო!—შესძახა მეჯვარე მიხამ და ცხენს ქუსლი ამოჰკრა.

— აბა, სიმღერა, ბიჭებო!—რიხიანათ გადასძახა ცხენოსან მხლებლებს ქიტესამ და გაისმა ხალისიანი სიმღერა:

მოვდივართ, მოგვიხარიან,
თან მოგვყავს დედოფალია;
ისეთი ლამაზი არის,
მტერსაც დარჩება თვალია.
მოვდივართ, მოგვიხარიან,
თან მოგვყავს პატარძალია;
ვარსკვლავებს ეთამაშება,
ისეთი ტურფა ქალია.

გუგუნებდა ცხენების ფეხების ხმასთან შეწყობილი სიმღერა და ბანს აძლევდა მთვარით გადაკაშკაშებული სოფლის დამყუდროვებული გარემო.

8.

სიკოს ქოხშიაც ამ დროს დიდი ფაცა-ფუცი და სამზადისი იყო გაჩაღებული.

შემოესმათ თუ არა შორიდან სიმღერის ხმა, სამეფოს თავი მიანებეს და გულიანი სიცილ-კისკისით ყველანი გარედ გამოცვივდნენ.

— მოდიან! მოდიან!—წამოიძახეს ერთხმად.

— აბა, ვანო, ჩქარა, შევეგებოთ მაყრიონს!—უთხრა სიკომ თავის ძმას და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ყაყუჩა გარეთ გამოიყვანეს.

— მაყრიონს გაუმარჯოს, მაყრიოოონს!—შეჰყიჟინა სიკომ მოფრენილ ცხენოსნებს და ქუდი მაღლა შეაგდო.

— მეფეს გაუმარჯოს, მეფეეეს!—საპასუხოდ იგრიალეს მაყრებმა და თოფები ჰაერში დასცალეს.

9.

ცაო, გააბედნიერე
ჩვენი მეფე-დედოფალი;
ამრავლე და ანეტარე,
მიეც კარგი მომავალი.
ცაო, ცაო, დაიფარე
ჩვენი მეფე-პატარძალი;
არასოდეს არ მოაკლო,
შენი მოწყალების თვალი.
ცაო, ცაო, ადღეგრძელე
ჩვენი მეფე-დედოფალი;
შეატკბე და შეაბერე,
მიეც კარგი მომავალი...

გულ-მხიარულად მიიმღეროდა მაყრიონი სოფლის შარაგზაზე მეფე-დედოფალთან ერთად და...

— შესდექით!—უეცრად შესძახა გზის პირას წინასწარ განზრახვით ჩასაფრებულმა რამდენიმე ბრგე ვაჟკაცმა და იარაღით ხელში გზა გადაუღობა მაყრიონს.

— თქვენ ვინა ხართ!—განგებ შეჰყვირა მიხომ დამხდომთ, თითქოს არაფერი იცის ამ საქმის ვითარებისაო.

— ვინცა ვართ, მალე გაიგებთ!—იმავე რიხით უპასუხა დამხდომებმა—ეგ ქალი ჩვენია!

— თავ ცოცხლები არ დაგანებებთ!—ეწინაამდეგებოდენ განგებ მაყრები.

— დაჰკათ მეფეს;—დაიძახა ერთმა დამხდომთაგანმა და ეცნენ მეფეს, ჩამოაგდეს ცხენიდან და რაც ძალ ღონე ჰქონდათ დაუშინეს მუშტები.

— ვაიმე — დედავ, ვაიმე!—ღრიალებდა საბრალო ყაყუჩა, მაგრამ მისი დამხმარე და მშველელი არავინ იყო.

— პატარძალი გაიტაცეს, პატარძალი!—ყვიროდა ერთი მაყართაგანი.

— ვანო, ვანო!—ჩასძახოდა მეორე მაყარი ძალზე დაბეგვილ ყაყუჩას, რომელიც გამწარებით გმინავდა.

— ე, რა დაგვემართა, ხალხო, რა თავსლაფი დაგვესხა!—ტყუილი სინანულით ამბობდა მესამე და დამხდომნი კი, ცრუ პატარძალთან ერთად, მაყრების ცხენებზე შემსხდარნი სოფლისაკენ მიჰქროდნენ.

* * *

ეს ამბავი იმ ღამესვე ელვის სისწრაფით მოედო მთელ სოფელს და სიცილად არა ჰყოფნიდა. ბეჩავი ყაყუჩა კი ლოგინში იწვა და ტკივილებისაგან პირუტყვივითა ბღაოდა.

გ. ქ.

# საახალწლოთ

**ერქომაიშვილს.**

მიხარებია ახალი ამბავი:
პოლიტ-განყოფილებამ გადასდო უდიდესი სტამბა თქვენთვის, რომ იქ ხელ-შეუშლელათა ბეჭდოთ სასურსათო კომისარიატის ანგარიშები.
კარექტორათ მომიცია **მეთვალყურე** გამოცდილი,
თუ იმისი მეგობრობა არ დაგიჯდა მეტად ძვირი.

—

**ცეკავშირს.**

ვაგზავნით ერთ ვაგონ კანაფს, რომ ტელეფონის ქსელი გააბათ პროვინციებთან და ცოტა ახლო დაუნათესავდეთ თქვენ შვილიშვილებს—„ეპოებს“.

მაგრმამ ერთი კი უნდა მოგახსენოთ: შენმა კონსერვმა და ვიჩინამ

თავი ვერსად იჩინა!
ვაი, თუ ამ საყვედურმა
ხვალ მე სადმე მიჩივლა!

—

**უმაღლეს სამეურნეო საბჭოს.**

ნეტავი რამე მაქცია,
თვალთმაქცად გადამაქცია!
თან ანგარიში მასწავლა,
შენ ტრესტებს შემომაჩვია!

—

**ავჭალის წყალ-სადენს.**

ოქროს ზოდები გჭირდება
ბურჯათ მკვიდრი სათავისა,
იმათ შოვნა ეხერხება თედოს.
აბა მაშ სხვა ვისა?
არც გატყდება შენი ფრონტი,
თუ გვერდზე გყავს თედო ღლონტი.

—

**მწერალთა კავშირს.**

დარღვეული ფრონტისთვის
კარგი რამე გერგოვო—
პავლესაგან ნაკურთხი
უებარი წებოვო.
(რატომ არ შეირყევით
კავკასიის მთებოვო!)

—

ერთ სიმღერას მოვკარი ყური. ის მე მგონი უფრო შეეფერება.

—

**თბილისის ალმასკომს.**

წყალო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები მტკვარსაო!
წყურვილსა კაცი მოუკლავს,
ნატრობდა ერთსა ყლაპსაო!

—

**„ქართულ სიტყვას“.**

გიგზავნით ერთ გორგალ ეკლიან მართულს. კარგათ შემოივლეთ გარშემო, რომ არც ერთი მწერალი არ გაგეკაროთ, ვინც სარედაქციო კოლეგიაში არ შედის.

ეს ძალიან ხელ-შემშლელია ჰონორარის აღებისათვის.

—

**ბ ა თ უ მ ს.**

იავ-ნანა, ვარდო ნანა
იავ-ნანინაო!
ბანგს გიგზავნი შენ საძილოთ
სხვა რა მოგიძღვნაო!

**გერმანიის ესდეკებს.**

ერთ საწყობში როზგებს შევხვდი
ძველ რუსეთის გამომკვებსა.
მოდი, იმათ გავუგზავნი
**გერმანიის ესდეკებსა.**
გერმანელი მუშის ზურგზე
მოიხმარეთ ყველა ესა.
თან ქარხნებში სამუშაოდ
მოუმატეთ საათებსა.
ვინც გაბედოს ურჩობა რამ,
მსხვერპლად მიეთ ფაშისტებს!

**ლ.—ლი.**

# ქურა კვლავ ქშინავს!..

განთიადია, სოფელს არ სძინავს,
შორს, დიდ ქარხნებში ქურები ქშინავს,
ვინც გააკეთა ქვეყნის დიდება—
ყველა ფეხზე სდგას—ფხიზლობს, არ სძინავთ.

თეთრი თოვლი ვით ალმასის თვალი
ბრჭყვიალა ეშხით მიდამოს ფერავს;
იქ, ბნელ სარდაფში მშრომელი ქალი
მუშებისათვის დროშასა ჰკერავს.

ბუნებას სძინავს, ნაკადულს ყინავს...
კვერით ქურასთან მჭედელი გმინავს;
დადუმებულა მშრომელთა ქოხი
შორნი ვარსკვლავნიც ფერ-მკთალად ბრწყინავს.

მხოლოდ სიჩუმეს არღვევს მჭედელი,
ღიღინებს და თან გრიალებს გრდემლი,
სჭედავს და სჭედავს მომავლის იმედს,
რომ მისებრ ჩაგრულს შეუშროს ცრემლი.

აქ, დიდ შრომაში მუშამ და გლეხმა,
რომ გადახვიეს ერთმანეთს ხელი,
ერთად გასწიეს, რომ ინახულონ
კაცობრიობის ბედის მჭედელი.

განთიადია, ქარხანა ქშინავს,
ბედისა მჭედელს მოხუცს არ სძინავს,
მისი ვარსკვლავი სხივ მოციმციმე—
კიაფობს ქვეყნად, ანათებს, ბრწყინავს!..

**მუშა ვახო როინიშვილი.**

# საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის დელეგატები


მ. კახიანი („დროშის" რედაქ.)


ა. გეგეჭკორი


ბ. ლომინაძე


პ. ჭიღუვაძე


ლ. ქართველიშვილი


ვ. ივანოვ-კავკასკი


შაბანოვი


თ. ქლენცი


ბ. ბოგია


ნ. სვანიძე


ნ. კიკნაძე (რედ. გაზ. „კომუნისტის")


ს. მამულია


ორახელაშვილი


მაქსიმ ხიმშიაშვილი


ვ. სტურუა


დ. ლორთქიფანიძე


ე. მოლქაძე


ეგოროვი (კავკ. არმიის სარდალი)


ა. მიასნიკოვი


მ. ოკუჯავა


ლ. დუმბაძე


ლ. სუხიშვილი


თამ. ადამიძე


ა. გორგაძე


ან. დოლიძე

# ყველა ხათაბალა მე უნდა გადამხდეს!

ამაღლება დღეს დილა ადრიანად მეწვია ერთი ჩემი კარგი ნაცნობი—სანდრო.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— იგუეთში მივდივარ და მინდა ამფსონი გამიხდე.

— რა ამბავია?

— დღეს იქ „სამთავისობა“ არის. ეკლესიის გალავანი სავსე იქნება ხალხით: ჭიდაობა, ქალების გასინჯვა, ათასი გასართობები...

ჩემდა სამწუხაროდ ამისთანა შემთხვევებში რბილი ხასიათისა ვარ და ადვილად დავთანხმდი.

პატარა საუზმის შემდეგ ჩავსხედით მატარებელში, ჩამოვხტით სადგურ კასპში და გავუდექით იგუეთის გზას.

— მანძილი დიდია?—ვკითხე სანდროს.

— შვიდი ვერსი იქნება.—მომცა პასუხი.

— პირდაპირ დღეობაში მივდივართ თუ სხვა რამე მიზანი აქვს ჩვენს მგზავრობას?

— ჩემი და თეკლე შარშან მივათხოვეთ დიმიტრი ზაალიშვილს. დედამთილი რძალს თურმე ძალიან ცუდ პირობებში ამყოფებს. ეხლა თეკლეს ვაჟი გაეჩენია და ჩვენ, რომ მივულოცავთ, ამ გარემოებით შეიძლება მდგომარეობა შეუცვალონ.

— დაიწყევლოს მოუსვენარი ადამიანის ხასიათი!—მწარედ წარმოვსთქვი და რაც შემეძლო გვერდში ამოვუდექ ჩემ ამხანაგს.

ნახევარი გზა არ გვექნებოდა გავლილი, რომ მე უკვე მომშივდა.

— იქ რა ამბავია?—დავანახვე სანდროს გზიდან ცოტა მოშორებით, რაღაც „ნიშის“ გარშემო ხალხი.

— ოსებს „სალვთო“ აქვთ. ცხვარი დაუკლავთ და შეექცევიან.

— წამოგვეღო რამე მაინც, გზაში შევნაყრებულიყავით?

— ცოტაც მოითმინე. ბინაზე მივალთ და იქ ყველაფერი იქნება.

—

შუადღე გადასული იყო, როცა მივედით გედევან ზაალიშვილის სახლში. გედევანს დიმიტრის გარდა სხვა შვილებიც ჰყავდა. შინ დაგვიხვდა მარტო თეკლე თავის ძუძუმწოვარი ბავშვით. დანარჩენები დღეობაში წასულიყვნენ.

თეკლეს ძალიან გაეხარდა ძმის ნახვა. უნდოდა, როგორც ნამგზავრებისათვის მოერთმია რამე, მაგრამ დედამთილს კიდობანი დაეკეტა და გასაღები თან წაეღო.

ძმამ დას შეწუხება შეატყო.

მე უხერხულობა ვიგრძენ.

— წავიდეთ „ერში“ და იქიდან ყველანი ერთად დავბრუნდებით—მოვიწადინე თავის დაღწევა.

სანდროს მოეწონა ჩემი წინადადება.

—

„სამთავისის“ გარშემო ყურთა სმენა არ იყო: არღნების ჭყვიტინი, ზურნა, გარმონი თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

— განი, განი, განი!—ისმოდა მოჭიდავეთა წრიდან.

— ჰა-ტა-ტა! ჰა-ტა-ტა!

— წამოიღო! წამოიღო!

— დაუსხლტა!

— ჯან, ბიჭო!

— დასცა!

ხალხი მიეხვია.

— რომელია ქვეშ?

— წყალი! წყალი!

— რა მოუვიდა?

— მხარი ამოვარდა ქედანაშვილს.

მე თავი გავანებე ამ სამწუხარო ამბავს და ეკლესიის ძველ ხელოვნურ ხუროთმოძღვრებას ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი.

გალავნის სხვა და სხვა კუთხეში მლოცველებს ყველას ბინა დაესაკუთრებინა. ზმუოდნენ ხბოები, კიკინობდენ ცხვრები, კაკანებდნენ ქათმები, შიშხინებდა მწვადები. მღვდლები და დიაკვნები დიდ ფუსფუსში იყვნენ. ერთ ჯგუფში თეთრ მიტკლის კაბიან ახალგაზრდა ქალს დაირა ეჭირა და ბაიათის ხმაზე სიმღერით შეშლილი ქადაგობდა: „მოდით, ურწმუნოებო! ნახეთ ღვთისმშობლის ცრემლები—თქვენი ცოდვით კენჭებად ქცეულები! შეიძინეთ მოსანანიებლად! გეშინოდეთ ჯოჯოხეთისა“!

— წმინდა არს უფალი, ვენაცვალე იმის ძლიერებას! ვინც არ იწამებს, ეგრე ალაპარაკებს!—იძახდა ერთი მოხუცებული დედაბერი და პირჯვარს იწერდა.

— „სოციალი“ იქნება ეგ ცოდვიშვილი!..—ამბობდა მეორე.

— მა-რა, აღარც ღმერთია, აღარც ხატია, რა კეთილი დაეყრებათ, გენაცვა!—კვერს უკრავდა მესამე.

ერთი „ფეხმძიმე“ მანდილოსანი ოცი ვერსიდან ფეხშიშველა წამოსულიყო და გადაგლეჯილი მუხლისთავებით მეოცეთ უვლიდა ეკლესიას გარშემო.

— რათ ეწვალება ეგ საცოდავი?—ვკითხე მოხუცებულ კაცს, რომელიც სასოებით უყურებდა მის ტანჯვას.

— ქარებით ავათ არის და შეთქმული აქვს უფალთან.—მიპასუხა მან.

— ხომ უფრო ავათ გახდება მაგ მოქმედებით?

— ღვთის ნება იქნება შვილო...

გამიტაცა მწარე ფიქრებმა:

— ნუ თუ ამ დიდებულმა შენობამ ხალხს მხოლოდ უსულო კედლებზე კოცნა და ჭიდაობით მკლავების მტვრევა ჩაუნერგა ათასი წლების განმავლობაში?!.

— წავიდეთ სახლში!—მოულოდნელად მხარზე ხელი დამკრა სანდრომ და გამაცნო თეკლეს დედამთილი.

გზაში სანდრო ვიღაც ნაცნობმა გაიწვია.

დავრჩი მარტო.

გედევანის სახლში სუფრა გაიშალა.

სტუმარ-მასპინძლები უცხოთ მიყურებდნენ.

— ქალაქელ „კომეხსა“ ჰგავს...—უთხრა ერთმა ხანჯლიანმა ოსმა მეორე ხანჯლიანს.

— ჩუმად, არ გაიგონოს...

— ეგ გამოვათროთ და ერთი კარგად ვაპამპულოთ...—ჩაერია მესამე—„პამპრუხა ოსების საიდუმლო ლაპარაკში.

მივხვდი, რომ ჩემზე გეგმას ამუშავებდნენ.

სანდრო არსად ჩანდა.

გედევანმა იკისრა ტოლუმბაშობა.

ჯერ ლუკმა არ ჩამეყლაპა, რომ მერიქიფემ თეფშით ორი დიდი, განსაკუთრებული პიკა ღვინო მომართვა.

— დავაჯარიმეს, ქალაქელო!—მითხრა მან.

— რა დავაშავე, განა?

— თამადას ნება ეგრეა...

— უნდა დაცალოს, უთუოდ უნდა დაცალოს!—დაჟინებით მოითხოვდა პირველი ხანჯლიანი.

— არ დასცლის და დედაკაცებში წაბრძანდეს!—ამბობდა პამპრუხა აზნაური.

— გამაგებინეთ, რა დავაშავე?--ვიკითხე კიდევ.

— ის დააშავე, რომ მანამ თამადა სადღეგრძელოს იტყოდა, პური არ უნდა აგეღო.—ამიხსნა მერიქიფემ.

— ბოდიშს ვიხდი!—უაზროდ წარმოვსთქვი და მათ დასაკმაყოფილებლად ჩამოვართვი თეფში.

ერთი პიკა, როგორც იყო დავცალე. ხოლო მეორე, ვთხოვე ეპატიებინათ.

— არ შეიძლება! არ შეიძლება!..—გაისმა აქეთ-იქიდან. მეტი გზა არ იყო. ავიღე მეორეც. ნახევარზეა რომ დავიყვანე, შესვენება დავაპირე.

— ასწი! ასწი!

— უსუნთქლივ უსუნთქლივ!—მომაყარეს ზედიზედ. დავცალე.

— ჰა, შე ქალაქელო ქალაჩუნავ—წაიმოიძახა პამპრუხამ.

ცარიელმა კუჭმა ზიდება დამიწყო. შიშით ლუკმას ველარ ვიღებდი. გარედ გამოსვლასაც უმიზეზოდ ვერა ვბედავდი. ისინი მშიერები არ იყვნენ. „ერში“ ორგან სამგან ეჭამათ პური. ღვინოც საკმაო ესვათ. ჩემ გულში კი არ იხედებოდნენ.

— თამადამ მოგართვა!—მოულოდნელად დამადგა თავზე ხანჯლიანი ოსი. ჩხირზე ეგო ღორის ხორცი, მოთლილ ნაჭერზე ხანჯალი ხარიხასავით გადედო და მაწოდებდა.

— ხანჯალს შიგნიდან არ გადასწვდე, თორემ მაგ ხანჯლის წვერა გახდები!..—გამაგონა მუქარით პამპრუხამ.

არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ.

— აიღე, აიღე!—წამახალისა მერიქიფემ.

ხანჯლის წინ ხორცის ქიმს გაუბედავად წავატანე ხელი, რადგან ის მოჭრილად მომეჩვენა.

— წააგო, წააგო!.. „შტრაფი“ მაგას!...—ახმაურდნენ ყველანი.

მერიქიფეს თქმა აღარ უნდოდა. ორივე დიდი პიკები ხელმეორედ გავსებული მზად ეჭირა ხელში.

დამიდგა აღსასრულის წამი. გული მერეოდა. ჩემ თვალებში მთელი სახლი წისქვილის ბორბალივით ტრიალებდა. ყველანი მოუთმენლად შემომყურებდნენ.

უცებ აკვნის ბავშმა საშინელი ტირილი მორთო. თითქო მარტო ის მიმიხვდა საცოდავობას.

— დააჩუმე, ნუ ღნავის, თორემ, დედას უტირებ, გავიყვან კარში და კიბიდან აკვნიანად ჩავაგორებ!—შეუტია მაზლმა თავის რძალს.

გამოვერკვიე. გამახსენდა გიორგი სააკაძის გამამხნევებელი სიტყვები:

„ცას გადაედვნენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი!
ქარმა დაღმუვლა ხევ-ხუვსა, მთებსა,
ბუქი სვეტსავით აატრიალა;
რისხვითა გლეჯდა კლდესა და ღრესა,
ზვავმაც მაღლიდან დაიგრიალა“!...

თითქმის აქამდის მათთვის გაუგონარმა სიტყვებმა ისინი გამოაშტერა. ერთმანეთს გაუბეს ახსნა—განმარტება. სავსე ჭიქები გადაავაწყდათ. ამ გამემოებით ვისარგებლე. შეუნიშნავად გავძვრწე კარებში, აივნიდან კიბეზე დავეშვი და იქვე ახლო ბოსელში საქონელთან ამოვყავ თავი. ხარები და კამეჩები თავისთვის იცოხნებოდნენ. ჩემ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევდნენ. ღვინომ ჩამიგდო ხელში და იერიში ზედიზედ მოჰქონდა,

ამ დროს მომესმა გედევან ზაალიშვილის ხმა:

— ეე! „კომეხო“ სადა ხარ!...

გედევანს გამოჰყვა პამპრუხა აზნაური, პამპრუხას ხანჯლიანი ოსი.

მე სული გავნაბე. ღვინომ თაკის საზღვარი უკვე დაიკავა და რადგან დამარცხებული ვიყავი, შიშით და სირცხვილით გამოჩეხა აღარ შიხდოდა.

უცებ შეიქნა საშინელი წივილ-კივილი. ქალებისა და კაცების ხმა ერთმანეთში აირია.

— ჩქარა წყალი! ბამბა! ჩვრები! ასწიეთ! ფრთხილად! ქტო მოძუშეთ! ღორის ქონი გაახელეთ!...

ხმაურობა თანდათან მიწყდა. როგორც ეტყობოდა ოთახში შეღაგდნენ.

ამასობაში დაბინდდა ბოსლიდან თავი ჩუმად გამოვყავ. საიდახაც სანდრომ მოძიყვანა იმ მხარეს დავადეგ და უკან აღარ მიმიხედია.

„სამთავისიდან“ დაბრუნებული მგზავრები მრავლად ძიდიოდენ სადგურისაკენ.

— გაიგე, კაცო, ზაალიახთში რა საცოდაობა დატრიალდა?

ყურები ვცქვიტე.

— რა ამბავი?

— წვეულება ჰქონიათ. ქალაქიდან ვიღაც სომეხი სწვევიათ. თურე სუფრაზე კაძახიას ღვინოში ლალატობდა. სხვებს უცლიათ, იმას—არა. ძალა რომ დაუტანებიათ, გაპარულა. თამადათ თასპიხძელი ყოფილა. გაძოსულა მოსაძებნად. მოაჯირიდან ბოსლის სახურავზე გადასულა. თავი ველარ შეუმაგრებია და გადმოვარდნილა ბიხიდან. ამბობდხეს: ძრიელ დაშავდაო.

— კარგი ამაღლება დასდგომიათ!..

მე აუჩქარე. სამგზავრო მატარებელს აღარ მოვუცადე და საქონლის მატარებლით ჩამოველი ქალაქში.

ოთხი დღის შემდეგ შევხვდი სანდროს.

— რას გამომეპარე, კაცო?—მისაყვედურა მან.

— როგორ არის გედევანი?—ვკითხე მოუთმენლად.

— დღეს მივასვენებთ სოფელში.

— როგორ?!

— საავადმყოფოში ჩამოვიყვანეთ, მაგრამ ვეღარაფერი უშველეს. გატეხილ თავიდან ტვინი უჩანდა.

სახტად დავრჩი. გამიკვირდა.

ნუ თუ იმ დალოცვილს მართლა ტვინი ჰქონდა? და თუ ჰქონდა, რა ენაღვლებოდა კაცის მკვლელი არ გავეხადე?

მუშა **გიგო ხეჩუაშვილი.**

## კლოდ ფარერ

# „განწირულები“

გამომცემლობა „პეტროგრად“ 1923 წ.

კლოდ ფარერ მსუბუქი ჟანრის მწერალია ეგზოტიკა, ვნება, სიყვარული, პარიზის კაფეები, აი რა შეადგენს მისი შემოქმედების წრეს.

მაგრამ სოციალური რევოლიუციის ქარიშხალმა ისე მაგრათ დაჰბერა ევროპას, რომ ბევრი მწერალის „წონასწორობა“ დაარღვია. ზოგი მათგანი მისტიციზმში გადიჩეხა, ბევრი სასოწარკვეთილებას მიეცა „ევროპის დაღუპვაზე“ ალაპარაკდა, ძლიერ მცირე ჯგუფი გამოერკვა და მებრძოლი პროლეტარიატის მხარეზე დადგა, უფრო უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით კლოდ ფარერის ტიპის მწერლები, შიშმა შეიპყრო და შიშის ზარით ძოელის იმ დღეს როცა „დიდი ხამი“—პროლეტარიატი—ჯაჭვებს აიწყვეტს და დაამსხვრევს „საუკუნობით შექმნილ კულტურას, ცივილიზაციას“.

რამდენათაც უფრო უახლოვდება კაცობრიობა ახალი ქვეყნის საზღვრებს, იმდენათ ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს ბურჟუაზიული „მხატვრული ლიტერატურის“ და „კრიტიკის“ ლოზუნგი—ხელოვნება ხელოვნებისათვის, მას ფეხქვეშ თელავენ თვით გუშინდელი მისი უერთგულესი დამცველები.

პოლიტიკა შეიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების და აზროვნების ყველა კუნჭულებში. მის გავლენას ვერ ასცილდა ვეღა ეგრეთ წოდებული „მხატვრული ლიტერატურა“. ხელოვნების ქურუმების წინაშე მოჰავალი სოციალური გადატეხა დაისახა: ზოგიერთთათვის—როგორც საშინელი ლანდი, ზოგთათვის კი—როგორც მომხიბლველი, თვალწარმტაცი ფერია...

საშინელებათ აქვს წარმოდგენილი კლოდ ფარერსაც მომვალი სოციალური რევოლიუცია...

ამიტომ მთელი მისი სიმპატიები იმათკენ არის, რომლებიც „წესრიგსა და მშვიდობიანობას იცავენ“. მისი სიმპატიები კაპიტალისტების, ბურჟუაზიული რეჟიმის მხარეზეა.

რომანის მოქმედება სწარმოებს მეოცდაორე საუკუნეში, ამერიკაში.

ეს არის ხანა მრეწველობის უდიდესი კონცენტრაციის, შრომის მეხანიზაციის და წარსულ საუკუნეთა მონარქიული ეტიკეტის.

სიტურჯიკი—არის ტერიტორია, სადაც თავმოყრილია ამერიკის მთელი პურის მრეწველობა, ამერიკის ყოველი კუთხეებიდან უზარმაზარი გემებით აქ მოდის ხორბალი, იფქვება, ცხვება და აქედან მას აწვდიან ამერიკის 400 მილიონ მცხოვრებს. მთელ ამ კონცენტრაცია ქმნილ მრეწველობას სათავეში უდგას გუბერნატორი მაქს გედ ვოორ, ამერიკის სიგურჯიკის მონოპოლიის დირექტორი, უგვირგვინო მეფე. მისი ხელქვეითები თუმცა სამოქალაქო ტანსაცმელში არიან გამოწყობილი და უფროსი ან უმცროსი ინჟენერის უბრალო სახელს ატარებენ, მაგრამ ფაქტიურად აქ არის ძველი იერარქიის მთელი საფეხურები. ურთიერთობაც კი „უფროსებსა“ და „უმცროსებს“ შორის აგებულია ძველი სასახლის ეტიკეტის საფუძვლებზე.

სიტურჯიკის უმაღლესი საბჭოს სხდომა, ცერემონიალი სავსებით გავს ძველს:

„მეფე მობრძანდება“ და—ყველანი ფეხზე დგებიან“.

მთელი სიტურჯიკის ტერიტორია სამ ნაწილათ იყოფა: „ქვები“—ასე ეწოდება იმ ნაწილს, სადაც მუშები ცხოვრობენ. მეოცდაორე საუკუნეში მუშები უკვე აღარ არიან საჭირო, მაგრამ „კაცთმოყვარე“ გუბერნატორი ითმენს ამ „მონებს“, რომელსაც ქუჩაში სიმშილისგან სიკვდილი მოელის, რომ მათ მაგიერ სიტურჯიკში მანქანები აამუშაონ; მეორე ნაწილია სახელოსნოები, სადაც თავმოყრილია პურის მთელი მრეწველობა, მესამე—ახალშენი, სადაც ცხოვრობს „უმაღლესი“ წოდება—„ტაინი“ თუ უბრალო „სოვეტნიკები“ უფროსი და უმცროსი ინჟენერები, მათი ოჯახები. „ქვები“ და „ახალშენი“ დაშორებული არიან ერთმანეთისაგან ფაბრიკა-ქარხნებით რომელთაც მრავალი ათეული ვერსი უჭირავთ. უგვირგვინო მეფემ გაითვალისწინა ყოველგვარი შესაძლებლობა დი რომ უზრუნველეყო თავისი ერთგული ხელქვეითები „ქვების“ მცხოვრებთა მხრივ ყოველგვარი თავდასხმისგან შორი მანძილით დააშორა ისინი.

საათის მექანიზმივით არის მიწყობილი ყველაფერი სიტურჯიკში...

მაგრამ მოულოდნელად ცხორების ჩვეულებრივი, ნორმალური მიმდინარეობა ირღვევა.

რაღაც უცნაური და უცნობი მოვლენის ზეგავლენით სიტურჯიკის მრეწველობაში გახშირდა უბედური შემთხვევები, მანქანების გაფუჭება.

უმაღლესი საბჭო აქცევს ამ მოვლენას ყურადღებას და გუბერნატორი მაქს გედ ვოორ თავის „ტაინი სოვეტნიკებს“ ანდობს საქმის გამორკვევას.

ირკვევა, რომ მრეწველობაში შემჩნეული „არანორმალური“ მოვლენები „ქვების“ მცხოვრებთა უკმაყოფილების შედეგია. უკმაყოფილება კი გამოწვეულია ამერიკის ანარქისტული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატის აგიტაციით. სიტურჯიკის მონებში მან გააღვიძა ადამიანური გრძნობები, სიყვარული თავისუფლებისადმი, თავისი მონური მდგომარეობის შეგნება ასოცდათექვსმეტი ათასი მონა, რომელთაც მხოლოდ სიბრალულის გამო ითმენენ, ამოძრავდა, აბობოქრდა...

„ახალშენი“ და „ქვები“ მყვლეფელთა და გაყვლეფილთა ბანაკი, ბრძოლისათვის ემზადება.

პიეტრო ფერატი, ანარქისტების ფედერაციის დელეგატი ულტიმატუმს უგზავნის მაკ გედ ვოორს:

1. სამუშაო დღის შემცირება 8 საათიდან 6 საათამდი.
2. მუშების რიცხვის გადიდება.
3. შრომის ხელფასის გადიდება (იმათ, ვინც პურით კვებავს მთელ ამერიკას, უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ საკმაოთ ქონდეთ პური“).

თუ ამ მოთხოვნილებებს არ შეასრულებენ სიტურჯიკში საყოველთაო გაფიცვა ცხადდება...

მაგრამ არც „ახალშენს“ ძინავს. გუბერნატორი მაქს გედ ვოორ, თავის მარჯვეხახელს, ანდრეა ფერატის, ანარქისტული ფედერაციის დელეგატის ძმას, ავალებს სიტურჯიკის ფაბრიკა ქარხნებში დადგას „მექანიკური ხულები“, რომლებიც დიდი ხანია დაამზადა შორს მჭვრეტელმა „ჰაერის კაროლმა“.

საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა... გაფიცულები დარწმუნებული არიან თავის გამარჯვებაში... მაგრამ...

ფაბრიკა-ქარხნების მილებიდან კვლავ ამოდის კვამლი. მაშასადამე ისინი მუშაობენ.

— ანდრეა ფერრატიმ უკვე დასდგა თავისი „მექანიკური ხულები“.

„ქვების“ მცხოვრებლებმა არაფერი იციან ამის შესახებ. მაკ გედ ვოორის ქალი ევა ატყობინებს ამას თავის მიჯნურს პიეტროს.

„ქვების მესამედი ნაწილი დაიძრება ფაბრიკებისაკენ, რომ გაანადგუროს ჯერ არ ხილული მტერი, რომელმაც გზა გადაუღობა მათ გამარჯვებისაკენ· პიეტრო ფერრატი მიუძღვის მათ. ეიაც, გუბერნატორის ქალიშვილი მიეშურება მონოპლანით, რომ თავის მიჯნურს აუწყოს საშინელი საფრთხე: მიწაში ჩაწყობილი ნაღმები, ტყვიისმფრქვეველები, სიკვდილი რომელიც მათ მოელის.

მაგრამ ვერაფერი ვერ აჩერებს აბობოქრებულ ზღვას. გაფიცულებმა გაარღვიეს პოლიციის და ჯარის რკალი, ისინი უკვე ახლო არიან ფაბრიკებთან, რომ დაამსხვრიონ „მექანიკური ხულები“ მაგრამ... აქ სცენაზე გამოდის სიგურჯიკის განცდეკილი გორპალი, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა რაღაც საიდუმლო მანქანაზე. მან გამოიგონა საშვალება შორეულ მანძილზე მრავალი ათასი ცოცხალი არსების დასახოცად. ეს საშვალება არის მაკ გენდ ვოიროს უკანასკნელი მძიმე არტილერია, რომელსაც ის „უკანასკნელ“ შემთხვევაში მიმართავს მაკ გედ ვოორი ფიქრებს მიეცა... იქ ანარქისტთან არის მისი ქალი. ეკითხება ტორრალს: ხომ არ შეუძლია მის მანქანას ვინმესთვის გამონაკლისი დაუშვას?

— არა.

აჯანყებულებმა უკვე აიღეს პირველი სახელოსნო.

„ტორრალ, ახლა“.

ტორრალის ჯადოსნურმა მანქანამ აჯანყებულების გვამებიც კი გააქრო.

„მექანიკური ხულები“ გადარჩენ.

ასე დამთავრდა ბრძოლა კაპიტალსა და შრომის შორის.

გაიმარჯვა კაპიტალმა, დამარცხდა შრომა, დამარცხდა „დიდი ხამი“.

ეს მოხდა მეოცდაორე საუკუნეში.

ყველაფერი ეს ავტორის ფანტაზია არის, მაგრამ ფანტაზიაც არის და ფანტაზიაც.

ჟულსის და თუ გინდ ჟიულვერნის ფანტაზიას ის ახასიათებს, რომ რასაც ისინი ქმნიდენ თავისი ფანტაზიით შესაძლებელია მოხდეს, შესაძლებელია გამოგონებული იქმნენ და თუ გინდ ასეც არ იყოს და მათი ფანტაზია ფანტაზიათ დარჩეს, მათ ამ შემთევევაშიც ვერავინ უსაყვედურებს ფაქტების, ჭეშმარიტების გადამახინჯებას.

მაგრამ იმ საკითხში, რომელსაც კლოდ ფარერ ეხება, საქმე გვაქვს სოციალურ მოვლენებთან. სოციალური მოვლენებისათვის არის ერთგვარი საზომი. თითეული მებრძოლი კლასის სახე და მათი იდეალები საკმაოთ გამორკვეულია. აქ სინამდვილის გადამახინჯება შეუძლებელია, ის უსათუოდ თვალში გეცემა.

წარმოუდგენელია კლასთა ბრძოლა მეოცდაორე საუკუნეშიც გრძელდებოდეს და ისიც თითქმის იმ სახით, იმ მოთხოვნილებებით, რომლებიც დღესაც ჩვეულებრივია კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის.

წარმოუდგენელია, რომ მუშების შეგნება მეოცდაორე საუკუნეებიც ისეთ დაბალ დონეზე იდგეს, რომ მათ თავისი რისხვა მიმართონ მანქანების და არა ცოცხალი მყვლეფელების წინააღმდეგ. მუშათა კლასმა უკვე გაიარა განვითარების პირველი სტადია, როცა მას მტერათ მანქანა მიაჩნდა და არა კაპიტალისტი.

კლოდ ფარერს ეს გადამახინჯება იმიტომ დასჭირდა, რომ დაემტკიცებია კაპიტლისა ძლევამოსილება.

მაგრამ მომავალი სოციალური ბრძოლები როდი იქნებიან იმ ხასიათის, როგორც კლოდ ფარერ გვიხატავს, ისინი არც ისე შორს არიან როგორც ის სწერს და ისინი არ დამთავრდებიან ისე, როგორც სიტურჯიკში.

წიგნი მაინც ინტერესით იკითხება.

X.

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲡ

დღეს ცა იცინის, ო, იცინის ახალ აღგზნებით,
როს შავი რიდე მიმოფანტა წითელმა ქარმა,
სამყაროს სახე დაეღარა ცეცხლის ალებით,
და ბრძოლის ნიშნად მთის მწვერვალზე ჩამოჰკრა ზარმა.

ჩამოჰკრა ზარმა, ახმაურდა ბრძოლით მიდამო
ძველი სამყარო მის ხმაურში კრთის და ცახცახებს,
ცეცხლის ენებით ამეტყველდა შრომის დინამო,
შავი დემონიც თავს აბარებს გაუსვლელ მახეს.

უცნაურია ეს ქვეყანა, უცნაურია,
ირგვლივ ყიჟინი, ძველის ნგრევა, ახლის შენება;
ბრძოლამ სისხლის ღვარს ღამის თქეში შიგ აურია,
და ვხედავთ მხოლოდ წითელ რაშის გამოჭენებას.

ბედნიერი ვარ დედა ჩემო და მიხარია,
არა მგონია ამ ბრძოლაში, რომ დავიღალო,
ეს შავი რიდე დედა-მიწის გადამწვარია
და მარტოოდენ სჩანს შიშველი მკერდი ფიქალი.

მე გზას მინათებს მწველი სხივი მზის მოელვარე,
იწვის ქაოსი მწველ სხივებში შავი ბნელეთი;
ილვიძებს ხალხი დაჩაგრული გულით მღელვარე
ცხელი სახარა, ინდოსტანი და არაბეთი.

ო, მიხარია, რადგან ველი შვებით დათმობას,
ო, წამებულო დედა-ჩემო, შენც გაიხარე!..
მალე შრომის-ძე იზეიმებს შრომის აღდგომას,
თვალს შეაშრება მონადენი ცრემლები მწარე!...

**ონისიმე ქვიტირელი.**

# ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

## ჟურ. „დროშა“-ს № 4.

გამოვიდა ჟურნალ „დროშა-ს მეოთხე ნომერი შემდეგი შინარსით: **მ. ადამაშვილის** მოთხრობის „კვაჭი კვაჭანტირაძე“-ს გაგრძელება, პროლეტარული მხატვარი **კოტე კოლვიც**—პ. ქ; „სანდრო ყაზბეგის მხარეს“ – ს. ასლანიშვილისა; ნაწყვეტები რომანიდან: „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყნიერება, „არტურრებო“;—ვ. გ. „სპარტაკი“-ს შანშიაშვილისა; კინო—ი. ხ-ლი, და სხვა ქრონიკიური წერილები.

მოთხრობა „კვაჭი კვაჭანტირაძე“ წინა ნომრებში უფრო მეტ შთაბეჭდილებას სტოვებდა: ამ ნომერში იგი მოისუსტებს. ამას გარდა ჟურნალში ყურადღება მისაქცევია ს. შანიშიაშვილის დრამატ. პოემის გაგრძელება „სპარტაკი და ჯონ რიდის რომანიდან ნაწყვეტები: „ათი დღე, რამაც შესძრა მთელი ქვეყანა“.

აგრეთვე ჟურნალ „დროშის“ დადებითი მხარეა უცხო მწერლების და მხატვრების ჩვენ მკითხველ საზოგად. გაცნობა.

მაგრამ მაინც არ შეიძლება ამ უკანასკნელ ნომერს სისუსტე არ შევსწამოთ, რაც გამოწვეულია ერთფეროვანებით. ჟურნალი იტევს სხვა და სხვა ქრონიკურ ცნობებს და ფოტ· სურათებს ჩვენი კულტურულ და სამრეწველო—საეთნოგრაფიო სფეროდან.

ამ ნომერში მოთავსებული, ნახაზი დ. ქუთათელაძისა სოფლის ცხოვრებიდან.—კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა შიგ ალებული ტიპები არც სოფლის გლეხს ჰგავს და არც ინტელიგენტს.

აგრეთვე ურემი, რომელიც მიყავს გლეხს; გეგონება ცალი ბორბლით მიდისო.

ჟურნალ„დროშას“-ს შეუძლია უფრო სერიოზული ლიტერატურული—სამხატვრო სახე მიიღოს. ჩვენ გვაქვს უფლება მოვსთხოვოდ მას იმაზე მეტი, რაც ამდენხანს მას მოუცია ქართველ მკითხველისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ჟურნალს ამისათვის ყოველივე მხარე ხელს უწყობს.

**განი.**

# ლიტერატურა

## საქართველოში

ახლო მომავალში გამოვა **ეგნატე ნინოშვილის** თხზულებანი რამდენიმე ტომათ.

სახელმწ. გამომცემლობა შეუდა **ალ. ყაზბეგის** ნაწერების გამოცემას. დასრულებულია 1 ტომი, მეორე ტომი დაიწყება ახლო მომავალში.

**ფ ლიპე მახარაძის ნაწერები** გამოიცემა 10 ტომად. ამ ჟამათ მზათაა 1 ტომი.

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა მხატვას ფიროსმანიშვილზე მონოგრაფია.

სახელგამი უშვებს პ. ინგოროყვას ისტორიულ ნარკვევს „რუსთაველიანა“-ს; წიგნი მალე დაიბეჭდება.

სახელმწ. გამომცემლობა უშვებს წიგნად ალ. შანშიაშვილის დრამატ. პოემას „სპარტაკ“-ს.

გამოვიდა და იყიდება თ. ღლონტის „წიგნი მენშევიკური და საბჭოთა საქართველო“. (სახელმწიფო გამომცემლობა)

სახელგამმა გამოსცა და იყიდება **წერილები:** თეორია და პოლიტიკა მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერაში. წიგნი სრულ ტანიანია თან ახლავს ვ. ადორატსკის სტატია და შენიშვნები.

ამავე გამომცემლობამ გამოუშვა წიგნად **ფ. ენგელსის „ლუდოვიგ ფეიერბახი“**

**დავით ნახუცრიშვილმა** დასწერა ახალი პიესა: **„შავი მგელი“.**

სარეპერტუარო კომისიამ მიიღო **პ. ირეთელის** ახალი პიესა: „ცეცხლის გენია“.

ტფილისში გამოვიდა რუს. ჟურნალი „კრასნიე ვსხოდი“. სდაც სხვათა შორის მოთავსებულია **ია ეკალაძის** რომანი „დაუდეგარი“ თარგმ. ს. წერეთელის მიერ.

ამ დღეებში სოციალურ ალმზრდ. მთავარი მმმართველობა გამართავს საბავშო ლიტერატურის გამოეფნას.

სახ. გამომცემლობა მიმდინარე წელს გამოსცემს **დავ. კლდიაშვილის** ნაწერებს რამდენიმე ტომად.

სახ. გამ. კოლეგიამ დაადგინა გამოსცეს **აკაკის ნაწერები** 3 ტომად. I ტომი გამოვა თებერვლის შუა რიცხვებში.

გამოვიდა და იყიდებება მსახიობთა კავშირის ჟურნალი: **„სახიობა“**. ჟურნალი მეტად ლამაზათაა გამოცემული

„ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციამ გადასწყვიტა განაახლოს სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალის „:პლამია„-ს გამოცემა.

მოქ. **ალ. არაბიძე** შეუდგა იაფ-ფასიან სახალხო საკითხავი წიგნების გამომცემლობას.

პროლეტ. პოეტმა **პეტრე სამსონიძემ** დასწერა მოთხრობა: „ერთი წრავალთაგანი“, რომელიც გამოვა მალე წიგნად.

ს. წერეთელმა გადმოთარგმნა სომხურიდან პეტროსიანის რევოლიუციური პიესა „ცხოვრების ტალღებში“ ეს პიესა დაიდგმება წრევადელ სეზონში·

გამოვიდა და იყიდება პოეტი გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების I წიგნი „პოეტის ყეფა“.

გამოვიდა **ი. გრიშაშვილის** რედაქტორობით ჟურნ. **„ლეილა“**-ს მე-3-ე ნომერი.

---

## რუსეთში

### „ახალგაზრდა გვარდია“.

„ახალგაზრდა გვარდიის“ უკანასკნელ ლიტერატურულ გამოსვლაზე იქნა გარჩეული მწერალი **ნ ფადეევის** მოთხრობა „მიმდინარეობის წინაალმდეგ“, რომელიც ასწერს რევოლიუციონურ მოძრაობას ციმბირში. ყველა მოკამათეებმა აღნიშნეს მოთხრობის სიძლიერე და კარგი შესრულება, ხოლო უსაყვედურეს ავტორს ენის სიმძიმე.

### მოსკოვის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

ამ უკანასკნელ ხანებში მოსკოვის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში ხდება პერერეგისტრაცია, ემზადებიან პროლეტარულ მწერალთა ყრილობისათვის სრულიად საბჭოთა ფედერაციის მასშტაბით.

რუსეთში გარდაიცვალა ცნობილი მწერალი **ალექსანდრე სერგეის ძე ნევეროვი.** განსვენებული ეკუთვნოდა გლეხთა მწერლების კოლექტივს.

---

## გერმანია

**ვ. მაიაკოვსკის ახალი წიგნი.** ბერლინში გამოვიდა ვლ. მაიაკოვსკის ახალი წიგნი „ამ წლის ნაწერები. ლექსები გერმანიაზე აგიტ-სატირები. „ამის შესაბებ“. წიგნი გამოსცა გ-ბა „ნაკანუნე“-მ.

**„ცისფერი ხალიჩა“** ტურანის ცნობილმა მცოდნემ ფ. რ. ნორდმა დასწერა მეტად საინტერესო რომანი „ცისფერი ხალიჩა. რომანში დახატულია რასიული მტრობა და ყრუ ბრძოლა ევროპიელ-მყვლეფელების წინაალმდეგ, რომელიც თანდათანობით ძლიერდება აზიის ერებს შორის. ცისფერი ხალიჩა—ეს არის დროშა, განთავისუფლების სიმბოლო. ხალიჩას ჯადოსნური ძალა აქვს: მას შეუძლია შეაკავშიროს აზიის ერები უკანასკნელი განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. რომანის გმირი არის სხვათაშორის ერთი ახალგაზრდა ქალი, ბასკების ტომიდან, იმ ერის შვილი, რომელიც ოდესდაც მოვიდა აზიიდან და დასახლდა პირინეის დაბლობებში. ის მიდის თავის წინაპრების სამშობლოში და მონაწილეობას იღებს თავისი თანამემაულეების ბრძოლაში, კავშირს იჭერს ინდიის და რუსეთის რევოლიუციონერებთან.

ავტორის წინანდელ რომანებთან „კერალი“ და „ქვეყანა, სადაც არ იციან“, „ცისფერი ხალიჩა“ წარმოადგენს მეტად საინტერესო ტრილოგიას შიდა აზიის ცხოვრებიდან.

**„მალარო“** ნახევრათ კომუნისტურმა გამომცემლობამ „malih“ (ბერლინში) გამოსცა. პეტრე შნურის მოთხრობები 1 წიგნი „მალარო“.

**„მანქანების დაპყრობა“.** იმავე გამომცემლობამ გამოსცა ფრანგ იუნგის რომანი. რურის ოლქის ცხოვრებიდან: „მანქანების დაპყრობა“.

**„ივან კუკლინოვ“** შტუდგარტში გამოვიდა იოჰანეს ბოლდის რომანი ციმბირის ცხოვრებიდან „ივან კუკლინოვ“. ავტორი დოსტოევსკის გავლენის ქვეშ იმყოფება.

**როზა ლიუქსემბურგის წერილები.** ლუიზა კაუცკიმ (კარლ კაუცკის მეუღლე) გამოაქვეყნა როზა ლიუქსემბურგის წერილები ლუიზა და კარლ კაუცკისადმი (1896—1917 წ.წ. წერილები).

### „მესამე გზა“.

ემონტ კელერუსის რომანის „მესამე გზა“-ს გმირი არის რენე გოლენდერი, ინჟენერი ებრაელი. მან დასწერა წიგნი—„კულტურა—კერპი“, რომელშიც კაცობრიობის გადასარჩენად, მოუწოდებს მსოფლიოს ზურგი შეაქციოს თანამედროვე კულტურას (ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით—რელიგიას, ხელოვნებას და სხვ). კულტურა იმონებს კაცობრიობას, ის მის საუკეთესო ნაწილს აშორებს ნაყოფიერ შრომას, იწვევს ომებს. გოლლენდერი მომხრეა მეორე ომის—„ყველა ცოცხალი ძალების ჯვაროსნული ომის მკვდარი ბუნების წინაალმდეგ“. პირველ გზას, უკიდურესი ინდივიდუალიზმის გზას, კაცობრიობა დაღუპვისაკენ მიყავს, მეორე გზა, უარის თქმა საკუთარ „მე“-ზე. არის ბუდიზმის ფილოსოფია, გოლენდერი მიუთითებს მესამე გზაზე—„ყოველი ცოცხალი ძალების საუკუნოებრივი ბგერისთვის—მკვდარი ბუნებისათვის ომის გამოცხადების გზაზე. ამ გზის დასაწყისია „პარაზიტული“ სულიერი კულტურის ღირებულებისათვის ზურგის შექცევა.

გოლლენდერს ბრძოლას უცხადებენ სამხედრო, ნაციონალური და იმპერიალისტური პარტიები. გოლლენდერს დახმარების ხელს უწვდიან მხოლოდ ხელოვნების და მეცნიერეს ბის წარმომადგენლები.

მსოფლიო ითვისებს გოლლენდერის იდეებს. მისი მიმხრეების რიცხვი იზრდება. სახელმწიფოები უთანხმდებიან ერთი მეორეს, მსოფლიოს ყველა კუთხეები თავს იყრიან მრავალ მილიონიანი არმიები საერთო მტერის—მკვდარი ბუნების დასამარცხებლად. ირწყვება აზიისა და აჯრიკის უდაბნოები. კაცობრიობა გადარჩენილია.

თუმცა ავტორმა უდიდესი სოციალური საკითხების გადასაჭრელად უტოპიური რომანის ფორმა აირჩია, მაგრამ წიგნი, უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების ცნობით დიდის გულწრფელობით, ცოცხლათ არის დაწერილი და ინტერესით იკითხება.

წიგნი ჩქარა გამოვა რუსულ ენაზე.

### „ტ ა ი ა ნ“.

მეორე უცხო ქვეყანას ხატავს წიგნი, რომელიც ერთმა უცნობმა ავტორმა გამოსცა ამ რამდენიმე ხნის წინათ—**ოხვალდ არნოლდი სიენის** ფსევდონიმით. ამ წიგნს ეწოდება: „ტაიან. უდიდესი ქვეყანა (ჩინური რომანი)“.

რომანში საუცხოვოდ არის გადმოცემული ყვითელი რასის ფსიხიკა. აქ ყველაფერი რეალურია, არავითარი იდეალიზაცია, გადაჭარ-

ბება. ყველაფერი, რაც კი საზოგადოებამ იცის მოკლე დეპეშებიდან ჩინეთის შესახებ: რევოლიუცია, ბრძოლა სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის, პროვინციის მმართველების აჯანყება ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ, სამოქალაქო ომი და ყაჩაღების ბრბოების თარეში —ყველაფერი ეს მოცემულია მთელ რიგ ცოცხალი სურათების სახით. უცნობი ავტორი როგორც ჩანს ძლიერ ახლო იცნობს ამ ქვეყანას. გმნსაკუთრებით საინტერესოა, მოძრაობა რომელიც დაიწყო სამხრეთში ე. წ. ტაიანის ზეგავლენით· ამ მოძრაობაში გამოიხატა გაძვალტყავებული მასების კომუნისტური ტენდენციები, რომელსაც აღვივებენ და მიმართავენ ევროპიულად განათლებული ბელადები.

---

## საფრანგეთში

**ფლობერის პრემია.** ლიტერატურული პრემიების რიცხვი საფრანგეთში თანდათანობით იზრდება.

ერთმა პარიზელმა ექიმმა, რომელმაც არ ისურვა თავისი გვარი გამოქვეყნება, დაარსა **ფლობერის** სახელობის პრემია (30,000 ფრანკი). ამ პრემიის მისჯა დავალებული აქვს „La Yie" რედაქტორებს: მარიუსს და არი ლებლონს. ჟიურის შემადგენლობაში სხვათაშორის შედიან ანრი დე რენიე, რონი უფროსი და სხვები.

**ვოლარის პრემია.** მეორე ახალი პრემია (15.000 ფრანკი) ფრანგულ ენაზე საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებისათვის დაარსა სურათებით მოვაჭრე ა. ვოლარმა. ამ პრემიის საინტერესო მხარეს შეადგენს ის, რომ ჟიური (დამფასებლები) შესდგება მხოლოდ და მხოლოდ მხატვრებისაგან. ჟიურის წევრი-მხატვრები კი სხვა და სხვა ჯგუფებს ეკუთვნიან. ასე მაგალითად ჟიურში შედის ფუტურისტი მხატვარი პიკასო და სხვები.

**ახალი ქვეყნის პრემია.** ამერიკელმა ქალმა, მისს ფლორენს კირ, დაარსა „ახალი ქვეყნის (ამერიკის) პრემია (7000 ფრანკი). პრემია მიეცემა მხოლოდ ახალგაზრდა მწერალს ფრანგულ ენაზე თვალსაჩინო თხზულებისათვის. ჟიური შესდგება მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა მწერლებისაგან: ჟან კოკტო, პოლ მორან, მაქს ჟაკობ და სხვები.

**„ოთხის რომანი"** ცნობილმა მწერლებმა პოლ ბურჟემ, ჟერარ დიუვილმა, ანრი დიუვენრუამ და პიერ ბენუამ ერთად დასწერეს „ოთხის რომანი".

m-ell **დელაფერტე**. „ატლანტიდა"-ს ავტორმა პიერ ბენუამ დასწერა ახალი რომანი „m el დელაფერტე".

**„წითელი ღმერთები"**. ცნობილი ფრანგი მწერალის მარსელ პრევოს რედაქციით გამოდის ჟან დ'ემმის სენსაციური რომანი „წითელი ღმერთები". გამომცემლობა იუწყება, რომ მას უკვე დაკვეთილი აქვს ამ რომანის ერთ მილიონზე მეტი ცალი.

**„გაუთხოვარი ქალი"**. ვიქტორ მარგერიტის ახალმა რომანმა „გაუთხოვარი ქალი" დიდი სენსაცია მოახდინა საფრანგეთში და ლიტერატურული სკანდალის ხასიათი მიიღო. ერთი თვის განმავლობაში ეს რომანი ასიათასზე მეტი ცალი გაიყიდა. ხმები, რომ ვიქტორ მარგერიტს პასუხისგებაში აძლევენ პორნოგრაფიისათვის, უფრო გააძლიერეს ინტერესი რომანისადმი.

თუ რომანის მატერიალური წარმატება პირდაპირ თავბრუდამხვევია, სერიოზული კრიტიკა, უარყოფილად მოეპყრა რომანს, რადგან ის უცხოეთის კრიტიკის ცნობით, მოკლებულია ყოველგვარ მხატვრულ ღირსებას.

„ზნეობის" (ბურჟუაზიული) სადარაჯოზე მდგომი კრიტიკა სასტიკ იერიშებს მიმართავდა მარგერიტის წინააღმდეგ. ამ კომპანიის ზეგავლენით **ვ. მარგერიტს** ჩამოართვეს საპატიო ლეგიონის ორდენი, რომლის წევრი იყო ის მრავალი წლების განმავლობაში, თუმცა არა „პორნოგრაფიისათვის", არამედ იმისთვის რომ „რომანის გმირი (მონიკა ლებრიე) შესაძლოა საზღვარგარეთ ფრანგი ქალის ტიპათ ჩათვალონ".

**რაშელ და სიყვარული.** გამოვიდა რონი „რაშელ და სიყვარული". რომანში აწერილია თანამედროვე ებრაელობის ზნე-ჩვეულებანი.

---

## ბელგია

**ვერხარნის პრემია** ვერხარნის პრემია (1000 ფრანკი), რომელიც ყოველწლიურათ ეძლევა ბელგიის საუკეთესო პოეტს, წელს მიესაჯა: მწერალ-ქალის კლოდ ბერნიეს წიგნისთვის „საათების სახე" (Le Yisege be Heures).

**პრემია** Belles-Leftres (ლამაზი წერილები 1923 წ მიესაჯა ერნესტ რეინოს წიგნისათვის „ბოდლერი".

---

## ინგლისი

**„კარგი მარცვალი"** პრემია, 500 გირვ. სტერლინგი, საუკეთესო რომანისათვის მიიღო მმელინ მორრისონმა რომანისთვის: „კარგი მარცვალი", რომელიც გამოსცა გამომცემლობამ „sohn zonq".

**„ირლანდიის გვარდია"** გამოვიდა რ. კიპლინგის ახალი რომანი „ირლანდიის გვარდია".

**„მოსკოვის სარკეები"**. ამერიკელმა მწერალმა ქალმა ლუიზა ბრაიანმა გამოაქვეყნა ლონდონში წიგნი „მოსკოვის სარკეები" („Mérross of Moscow). წიგნში მოცემულია რუსეთის თანამედროვე მოღვაწეთა მეტად საინტერესო დახასიათება.

**„მსოფლიო კრიზისი"**. დიდი მოთხოვნილებაა ინგლისის მთავრობის ყოფილი წევრის უინსტონ ჩერჩილის წიგნზე: „მსოფლიო კრიზისი".

**ფორდის ავტობიოგრაფია**. დიდი მოთხოვნილებაა ინგლისში აგრეთვე „ავტომობილების კაროლის", ამერიკელი მილიარდერი ჰენრი ფორდის წიგნზე: „ჩემი ცხოვრება დამუშაობა".

**წიგნი ეგვიპტეს შესახებ.** პროფესორმა ფლინდერს პეტრიმ დასწერა წიგნი „საზოგადოებრივი ცხოვრება ძველ ეგვიპტეში". ეს წიგნი შეადგენს ეგვიპტის შესახებ დიდი შრომას.

---

## შვეიცარია

**შილლერის პრემია.** ცნობილმა შვეიცარიელმა მწერალმა ლიზა ვანგერმა, რომელიც გერმანულ ენაზე სწერს, წელს მიიღო შილლერია სახელობის პრემია თავისი რომანებისათვის.

**„იოჰანნეს"** შილლერის პრემია მიიღო აგრეთვე იაკობ შაფფენერმა რომანისთვის „იოჰანნეს".

**„ახალი წარღვნა"** იგივე პრემია (1000 ფრანკი) მიიღო m-me რეგერმა (ჟენევა) რომანისთვის: „ახალი წარღვნა".

---

## ამერიკა

**„სპილენძი"**. ჩარლზ რამფორდ უოკერმა (იხ. „ჩირაღდანი" № 1) დასწერა ახალი წიგნი „სპილენძი".

**ჯონ კერნოს.** დიდ ინტერესს იწვევს ამერიკაში რუსი ებრაელი ჯონ კერნოს, რომელიც 8 წლის წაიყვანეს მშობლებმა ამერიკაში.

ორი მისი რომანი, „ნიღაბი" და „კედელი", ავტობიოგრაფიული ხასიათის არიან. პირველში აწერილია რუსი ბავშის ივანე გამძაროვის ცხოვრება ამერიკაში.

„კედელი" —„ნიღაბის" გაგრძელებაა.

**ერთი ჩვენთაგანი**. კოლუმბიის უნივერსიტეტმა Pulitzer-ის პრემია მიუსაჯა მისს უილი კესერს რომანისთვის „ერთი ჩვენთაგანი" სიუჟეტი აღებულია ამერიკის ცხოვრებიდან.

**ჯეკ ლონდონის ახალი რომანი.** გამოვიდა ჯეკ ლონდონის ახალი რომანი „ჰოლანდიელების სიმამაცე".

**სარრა ბერნარის მემუარები.** გამოვიდა სარრა ბერნარის მემუარები, თარგმანი ფრანგულიდან.

# მუსიკა

## საქართველოში

**მარში სამგლოვიარო.**

პოლიტგანათლების მთავარმმართველობას განზრახული აქვს გამოსცეს სამგლოვიარო მარში ჩვეულებრივ მიცვალებულთა დასაფლავებისათვის, რისთვისაც საჭიროებს სათანადო ტექსტს. დაინტერესებულ პირთათვის ცნობების მიღება შეიძლება პოლიტგანათლების მთავარმმართველობაში.—

---

## საფრანგეთი

პარიზის კომიკურ ოპერაში დაიდგა **რილანდო განის** ახალი ოპერა „ნავსიკაია". სიუჟეტი დამუშავებულია პოეტ რენე ფოშუას მიერ. კრიტიკა ქებით იხსენიებს ოპერის მუსიკას.

**იმავე თეატრში** დაიდგა ესპანელი კომპოზიტორის **ისააკ ალბენისის** ორ მოქმედებიანი ლირიკული კომედია „პეპიტა ხიმენეს".

პარიზში დაიდგა კომპოზიტორის **ალბერ რუსსელის** ახალი ოპერა „პადმავატი". ოპერის სიუჟეტი აღებულია ინდოეთის მეცამეტე საუკუნის ისტორიიდან, როცა ინდოეთს თავს დაესხენ მონღოლები.

**„სოვრ. ზაპად"-ის** ცნობით ცნობილი ფრანგი მწერალი **რომენ როლანი** კვლავ დაუბრუნდა თავის ისტორიულ მუსიკალურ გამოკვლევებს. უკანასკნელი მისი შრომა ამ დარგში ატარებს სახელს „მუსიკალური მოგზაურობა წარსულის ქვეყანაში" და აღადგენს მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელ და გერმანიელ მუსიკალური ძღლვაწეების სახეებს.

---

## იტალია

მილანის საოპერო თეატრში La Scala დაიდგა კომპოზიტორ **ოტტორინო რესპიგის** ახალი ოპერა „ბელფარგორ". რესპიგი რუსი კომპოზიტორის რიმსკი-კორსაკოვის მოწაფეა.

# კინო ნარევი

### საქართველოში

„**წითელი ეშმაკუნები**“ ვინაიდან „წითელმა ეშმაკუნებმა“ რუსეთში დიდი სენსაცია მოახდინა, საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის სამმართველო თავის წარმომადგენლობა მოსკოვში უგზავნის ამ სურათის ახალ ეკზემპლიარებს.

—

### საბჭოთა ფედერაციაში

„**კანცლერი და ზეინკალი**“. უკრაინის კინოსაზოგადოება შეუდგა ა. ლუნაჩარსკის პიესის—„კანცლერი და ზეინკალი“-ს ეკრანზე გადაღებას.

„**ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის**.—ახლო ხანში ტფილისში უჩვენებენ რუსეთში ოქტომბრის დღესასწაულისათვის გადაღებულ სურათს „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის“.

„**მისტერ ვესტის თავგადასავალი**“ რუსეთის სახელმწიფო კინო-საზოგადოება ამ ჟამად აწარმოებს სურათის—„მისტერს ვესტის თავგადასავალი ბოლშევიკების ქვეყანაში“—ეკრანზე გადაღებას. სცენარი დაწერილია ნ. ასეევის მიერ.

„**წმინდა ვასილ გრიაზნოვი**“. სახელმწიფო კინო-საზოგადოება იღებს სურათს „წმინდა ვასილ გრიაზოვი“ სცენარი დაწერილია. შპიტბერგის მიერ. სერათი ანტირელიგიური ხასიათის არის. სურათში მონაწილეობას იღებენ რევოლიუციის თეატრის მსახიობები პ. ი. სტარკოვსკი, ს. ვ. იურენევი და სხვები.

**ახალი სურათები** კინო-მოსკვას განზრახული აქვს გადაიღოს სურათები „ცრუდიმიტრი“ „პუგაჩევი“, და „რკინის კედელი“.

„**ბრძოლა ულტიმატუმისათვის**“ პროლეტკინომ დაამთავრა გადაღება სურათის ბრძოლა ულტიმატუმისათვის“. სურათში აღებულია სამოქალაქო ომის ეპიზოდები

„**წითელი ეშმაკუნები**“. კინო სურათმა „წითელ ეშმაკუნებმა“ დიდი აღტაცება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის დიდ ქალაქებში.

გაზეთებში მოთავსებული წერილები „წითელ ეშმაკუნების“ შესახებ ერთხელ კიდევ ადასტურებენ ამ კინო-სურათის მოხდენილად გადაღებას და დამუშავებას.

ერთ-ერთ „კინო გაზეთში“ სწერენ: ჩვენ გვაკვირვებს არა მარტო სურათის დადგმა, არამედ მისი ტეხნიკური შესრულებაო“.

ერთი სიტყვით დიდი სასიქადულო საქმეა ის მოვლენა, რომ საბჭოთა რუსეთში გაკვირვებით სწერენ ჩვენ კინო სურათების შესახებ.

აგრეთვე გაზ. „პრავდაც აღნიშნავს შემდეგს: სანამდე მოსკოვში ჩვენი კინო სპეცები ლაპარაკობდენ და ლაყბობდენ, თბილისში მუშაობდნენ და მართლაც შექმნეს კარგი კინო ფილმა.

ამავე გაზეთში აღნიშნულია ამხ. გოგიტიძის ა. ნაზაროვის, პერესტიანის, დიგმელოვის ბეჯითობა და შრომის მოყვარეობა, კინო წარმოების ასაყვავებლად.

და ბოლოს გაზეთი აღნიშნავს: „თბილისმა უჩვენა მაგალითი მოსკოვს თუ როგორ უნდა იმუშაონ ამ საქმეზე“.

—

### გერმანიაში

„**ნიბელუნგები**“ **ეკრანზე**. გერმანიის ერთ-ერთი მსხვილი კინო-სასაზოგადოება შეუდგა „ნიბელუნგების“ ეკრანზე გადაღებას. „ნიბელუნგები“—არის ზღაპარი საშუალო საუკუნეების ეპოქიდან. სურათი უკვე მეორე წელიწადია მზადდება და 1924 წლის გაზაფხულისათვის სავსებით მზად იქნება.

**მუშათა კინო-კოოპერატივი.**

დაიშალა გერმანიის მუშათა კინო-კოოპერატივი „ფოლკსფილმბიუნე“ კოოპერატივის დაშლა აიხსნება დიდი კაპიტალის უქონლობით, რაც ხელს უშლიდა მას კინო-ტრესტთან ბრძოლის დროს.

—

### ამერიკაში

„**დონ-კიხოტი**“ **ეკრანზე**

ახალი კინო კონცერნი „ტრანსკონტინენტალური ფილმა“ შარშან შეუდგა დადგმას სურათის „დონ კიხოტი“ და „ბარონ მიუნხგაუზენი“.

**კინო-მრეწველობა.**

კინო-მრეწველობა ამერიკაში არაჩვეულებრივათ ფართე ხასიათს იღებს: ყოველ კვირაში მზადდება 300,000 მეტრზე მეტი (თითქმის ასი ვერსი) სურათი. ყველა ეს სურათები მრავალ ეკზემპლიარებათ იგზავნება ეგრეთ წოდებულ „ეკსჩენჯში“ (კინო-ლენტების ბირჟა), საიდანაც ნაწილდება მთელს მსოფლიოში.

75 პროცენტი ყველა იმ ლენტების, რომლებიც ამ ჟამად მუშავდება ამერიკაში მზადდება ლოს-ანჟელოსში (სამხრეთ კალიფორნია).

მსხვილ კინო-ფაბრიკებს აქვთ ინსტრუქტორ-ინსპექტორების საკუთარი ინსტიტუტი, ის შესდგება გამოცდილ კინო-მექანიკოსებისა და ელექტრო-ტეხნიკოსებისაგან, რომლებსაც გავლილი აქვთ საინსტრუქტორო სკოლა ამ ინსტრუქტორების მოვალეობას შეადგენს მოგზაურობა ქალაქიდან ქალაქში და თვალყურის დევნება იმისათვის, რომ კინო-თეატრებში სურათების ჩვენების დროს, დაცული იქნას შესაფერი წესები. კინო-თეატრები ძლიერ აფასებენ ამ ტეხნიკურ დახმარებას.

„**ქარიშხლების ქვეყანა**“

1923 წელს ამერიკის მსახიობთა ამხანაგობამ გამოუშვა სურათი „ქარიშხალების ქვეყანაში“, რომელშიც მონაწილეობას იღებს ამერიკის ეკრანის „ვარსკვლავი“ მერი პიკფორდ.

„**გიჟი ღამე**“

იმავე ამხანაგობამ გამოუშვა ფილმა „გიჟი ღამე“. სურათი დაიდგა ამერიკის ცნობილი კინო-რეჟისორის გრიფიცის ხელმძღვანელობით.

**საწერი მანქანის 50 წლის თავი.**

1923 წელს საწერ მანქანას 50 წელი შეუსრულდა. 50 წლის თავი დიდის ზეიმით იქნა გადახდილი ამერიკაში და ასეთივე ზეიმი „ნაკანუნე“-ს გაიმართება პარიზსა და ევროპის სხვა ქალაქებშიც.

1714 წელს ინჟენერმა **გენრიხ მილენმა** ინგლისის **დედოფალ ანნას** ძღვნათ მიართვა საწერი მანქანის მოდელი. მაგრამ ეს მოდელი და მისი სურათებიც შემდეგ სადღაც უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ნამდვილი საწერი მანქანა გამოიგონა **ხრისტოფორ ლატანი შოლლემ**, ასოთ-ამწყობმა. მან 6 წლის განმავლობაში საწერ მანქანის 25 მოდელი დაამზადა. ერთი ასეთი მოდელი მან **რემინგტონს** გადასცა, რომელმაც მას ამისათვის 12 ათასი დოლარი აჩუქა, რაც **შოლლემ** დიდის მადლობით მიიღო. საბრალო პატიოსანმა მუშამ არ იცოდა თუ რა ბრწყინვალე მომავალი ჰქონდა მის გამოგონებას და როგორ გაამდიდრებდა მისი საწერი მანქანა კაპიტალისტებს.

**ამერიკის ახალი დრედნოუტი.**

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის საზღვაო სამინისტრომ წყალში ჩაუშვა ახალი დიდი დრედნოუტი „**კოლორადო**“.

„კოლორადო“ აშენებულია მეცნიერებისა და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

„კოლორადო“ გარდა 12 დმ. ზარბაზნებისა, შეიარაღებულია აგრეთვე რამდენიმე შორსმსროლელი 16 დმ. ზარბაზნით. მთავარი სამეთვალყურეო პუნქტი გაკეთებულია კოშკზე, რომლის სიმაღლე ეიფელის კოშკის სიმაღლეს უდრის. დრედნოუტზე არის სპეციალური ზარბაზნები წყალქვეშა ნავების, ჰაეროპლანების და გამანადგურებლების წინააღმდეგ. ამას გარდა დრედნოუტზე არის სპეციალური ადგილი 2 ჰაეროპლანისა და საჰერო შარისათვის.

**შეღებილი ტყე.**

დღემდი ავეჯეულობას, სათამაშოებს და სხვას აკეთებდენ ხიდან და შემდეგ ღებავდენ. გერმანელები კი ამჟამად წინააღმდეგ იქცევიან; ისინი ჯერ ღებავენ ცოცხალ ხეს და შემდეგ კი აკეთებენ სხვადასხვა ნივთებს.

გერმანელები ამას ასე შვებიან: ხეზე ამაგრებენ ჭურჭელს საღებავით. საღებავი წვრილი რეზინის მილებით ელექტრონის საშუალებით ჩადის ხის ძირებში და აქედან ვრცელდება მთელს მცენარეზე. 3—4 კვირის შემდეგ მცენარე იღებს საჭირო ფერს და რამდენიმე ხნის შემდეგ ხმება.

**შექსპირის ხელთნაწერი.**

ინგლისში დიდი სენსაცია გამოიწვია ბრიტანეთის მუზეუმში ძველი ხელთნაწერის აღმოჩენამ, რომელიც თურმე უკვე ორასი წელია მუზეუმში ინახებოდა. ხელთნაწერი შეიცავს 147 სტრიქონს და ეკუთვნის 1593 წ. ხელთნაწერი წარმოადგენს დამატებას დრამის „ანგონი მანდეი“, მასში მოყვანილია ტომას მორის მიმართვა ხალხისადმი.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ხელთნაწერი ეკუთვნის შექსპირს, რადგან ამ ხელთნაწერში არის დაცული ის თავისებურებანი, რომლებიც შექსპირის ხელთნაწერებს ახასიათებენ. გარდა იმისა ხელთნაწერში მოყვანილი სცენა სტილით წააგავს შექსპირის „კორიოლანს“.

მიიღება **1924 წლისათვის** ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქართვ. მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მატროსთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე,

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

# „კომუნისტზე“

ხელისმომწერლებს, რომლებიც შემოიტანენ ხვედრ ფულს წ..ნდა-წინვე, დაურიგდებათ შემდეგი

## პრემიები:

1) გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“;
2) ალ წულუკიძე - ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან;
3) ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
4) ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
5) მ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
6) ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

პრემიები იქნებიან შემდეგნაირათ განაწ. ლებული:

ყველა ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ „ჩ ი რ ა ღ დ ა ნ ს“

გარდა ამისა

სამ თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:

1. ნ ლენინი—კარლ მარქსი;
2. ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან.

ექვსი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:

1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი —წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
2 მ ლიბკნეხტი —მოგონებანი მარქსის შესახებ;
3. ი. სტეპანოვი ფიქრები რელიგიის შესახებ

## გაზეთი ღირს:

1 თვით 1 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით
2 „ 3 მან — —
3 „ 4 მან. და 50 კაპ. —

4 თვით 6 მან ჩერვონეცით
5 „ 7 მან და 50 კაპ. ჩერვონეცით.
6 „ 8 მან. და 50 „ „

კოლექტიური ხელის მოწერა: მუშებისათვის, მოსამსახურეთათვის და წითელარმიელებისათვის ეღირება 20 პროცენტით ნაკლები.

ტფილისის გარეთ მცხოვრებ ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი ათი კაპეიკის და მატებით თვურად, გაზეთის გადაგზავნის ხარჯების დასაფარავად.


სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.